ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 3 – 4 სექტემბერი, 2016 | №209 (7135) | ფასი: 50 თეთრი

## მკვლელობა ვაკეში



გვ.2

**3 სექტემბრიდან**

ვახუშტი კოტეტიშვილი

**აკლდამა ჩემთა ოცნებათა**

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




# ნიკა მელია: „9 ოქტომბერს ივანიშვილი ოპოზიციაში გადავა“



გვ.2

## „ჩვენ შურისძიებას არ ვაპირებთ“

„100 კაცის გაყვანაზე საუბარი მხოლოდ მის ისტერიკულ შიშზე მიუთითებს. ის ვერაფერით ეგუება იმ აზრს, რომ ძალაუფლებას დაკარგავს. მინდა გაგახსენოთ 2012 წელი. მაშინ ნაციონალების ძალიან ბევრ ლიდერს არ ეგონა, რომ ხელისუფლება შეიცვლებოდა და გამარჯვებას „ქართული ოცნება" მოიპოვებდა. ახლა „ოცნების" წევრებს აქვთ იგივე განცდა, რომ არ დამარცხდებიან"

## „კვირიკაშვილის გარემოცვა და ნაციონალები საარჩევნო კომისიებშიც გარიგდნენ“

## სოსო ცინცაძე: „ამდენი გაყიდული პარტია არცერთ არჩევნებს არ ახსოვს“

გვ.3



„უფასო სარეკლამო დრო არასწორი მიდგომაა“

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილის ჩამოსვლა ოქტომბერში გამორიცხულია“

გვ.5



## ანა დოლიძე: „პარლამენტი ზერელედ და უპასუხისმგებლოდ იქცევა“



გვ.3





ISSN 1987-9385

## გიორგი თევზაძე: „პრორუსულ ძალებს ხელისუფლება აქტიურად უნდა დაუპირისპირდეს“

„რუსული ოკუპაციის ზოლთან მცხოვრები ქართველი მოსახლეობა გმირია“

გვ. 5



გვ. 4

## რაზე ესაუბრა სომხეთის პრეზიდენტი აფხაზებს

შორენა მარსაგიშვილი

# ნიკა მელია: „9 ოქტომბერს ივანიშვილი ოპოზიციაში გადავა“

**რას აპირებს ყოფილი ხელისუფლება არჩევნების შემდეგ, სად მიდის ივანიშვილი და როგორ აფასებენ მეორე ნაცმოძრაობის გამოჩენას, ვინ არბევს მათ ოფისებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია ესაუბრება.**



ნიკა მელია:

– ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ნაციონალური მოძრაობის ოფისებზე არაერთი ვანდალური აქტი განხორციელდა. ამის უკან, ბუნებრივია, ხელისუფლება დგას, ისევე, როგორც რამდენიმე თვის წინ განხორციელებული თავდასხმების უკან. მაშინ ქვეყნის მასშტაბით ჩვენს ოფისებს საღებავები შეასხეს. ამის გამო კაციშვილი არ დასჯილა. ეს პროცესი ისევ გაგრძელდება და მას წერტილი 8 ოქტომბერს დაესმება.

***– ხელისუფლებას რაში აწყობს თქვენი ოფისების დარბევა?***

– მათ საკუთარ წარმატებაში ეჭვი ეპარებათ და მათი აგრესია ამით არის გამოწვეული. ყველა ხელისუფლება, რომელიც ასეთ ძალადობას მიმართავს, მარცხისთვის არის განწირული. ასე მოუვიდა შევარდნაძისა და წინა ხელისუფლებებს. უბრალოდ, მიკვირს, რატომ არ ითვალისწინებს „ქართული ოცნება“ წინამორბედების შეცდომებს. შეცდომების გათვალისწინებას ვინ ჩივის, უარესებს აკეთებენ.

***– ბიძინა ივანიშვილმა რეგიონულ მედიასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი კონკურენტი ნაციონალური მოძრაობის 2 ფრთა იქნება. ამ ორფრთიანობაზე რას იტყვით?***

– პოლიტიკაში ოდნავ მაინც ვინმე თუ არის ჩახედული, მაშინვე მიხვდებოდა, თუ რა ინტერესია ამ ფრაზის უკან. ბიძინა ივანიშვილს აქვს ამომრჩევლის დაბნევის სურვილი. მას ჰგონია, რომ ამ განცხადებით ჩვენს მომხრეებს დილემის წინაშე აყენებს – ვის მისცენ ხმა – ამ ნაციონალურ მოძრაობას თუ მეორეს.

მისი განცხადება მხოლოდ ამ მიზანს ემსახურებოდა. ის ძალიან კარგად ხვდება, რომ ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც მას დაამარცხებს. რაც არ უნდა ეცადოს, ხალხის დაბნევა არ გამოუვა, ძალიან დააგვიანა, მან ამ ქვეყანაში საზოგადოების ყველა ფენა მოატყუა და მას აღარავინ დაუჯერებს. ძალიან სამწუხაროა, რომ ასე იქცევა ის ადამიანი, რომელსაც 4 წლის წინ მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა დაუჭირა მხარი.

## „ჩვენ შურისძიებას არ ვაპირებთ“

***– თავად 2 ნაციონალურ მოძრაობაზე რას იტყვით. მართლა არსებობს 2 ნაციონალური მოძრაობა?***

– არანაირი მეორე ნაციონალური მოძრაობა არ არსებობს. ეს არის ივანიშვილის მოგონილი ფანდი.

***– თქვენი ყოფილი თანაპარტიელი გიორგი ვაშაძე ამბობს, რომ ახალი ნაცმოძრაობა მათი პარტიაა. ამაზე რას იტყვით?***

– გიორგი ვაშაძემ რა თქვა, არ ვიცი, მისი განცხადებებისთვის არ მომისმენია. მე მხოლოდ ივანიშვილს მოვუსმინე, რომელსაც ხელისუფლების დაკარგვის პარანოიდული შიში აქვს და ამ ფონზე უამრავ სასაცილო განცხადებას აკეთებს.

ამ ადამიანს ნაციონალური მოძრაობის დაშლის დიდი სურვილი ჰქონდა და მიზნის მიღწევას სხვადასხვა გზით ცდილობდა. გეგმაში პარტიის რამდენიმე ჯგუფად დაყოფა ჰქონდა, რაც ვერ მოახერხა. ვიღაცების გაყვანა მაინც შეძლო და ახლა მათი დახმარებით ცდილობს ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანას.

მე ყურადღებით ვუსმინე რეგიონულ მედიასთან ივანიშვილის შეხვედრას. ეს იყო ფსიქოლოგიურად დამარცხებული ადამიანის ლაპარაკი, რომელიც ცდილობს, რეალობას არ შეეგუოს. მან უნდა იცოდეს, რომ 9 ოქტომბრიდან ოპოზიციაში გადავა.

***– თავად ამბობს, „ქართული ოცნება“ პარლამენტში 100 კაცს გაიყვანსო.***

– იმედი აქვს, ბევრი ოცნებაც აქვს, მაგრამ ამის არანაირი შანსი არ არის. საქართველოს საკანონმდებლო ორგანო 150 წევრით არის დაკომპლექტებული. როგორ შეიძლება, 150-კაციან პარლამენტში 100 კაცი შეიყვანოს? მის სიტყვასაც კი აღარ აქვს ფასი. 1 სექტემბერს იმ გადაცემას, რომელშიც ის გამოვიდა, რეკორდულად დაბალი რეიტინგი ჰქონდა.

100 კაცის გაყვანაზე საუბარი მხოლოდ მის ისტერიკულ შიშზე მიუთითებს. ის ვერაფრით ეგუება იმ აზრს, რომ ძალაუფლებას დაკარგავს. მინდა გაგახსენოთ 2012 წელი. მაშინ ნაცმოძრაობის ძალიან ბევრ ლიდერს არ ეგონა, რომ ხელისუფლება შეიცვლებოდა და გამარჯვებას „ქართული ოცნება“ მოიპოვებდა. ახლა „ოცნების“ წევრებს აქვთ იგივე განცდა, რომ არ დამარცხდებიან.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები და ექსპერტების ნაწილი საარჩევნოდ არეულობას ელოდებიან. მათი მტკიცებით, ამ არეულობის მოწყობას თქვენი პარტია აპირებს.***

– „ქართულმა ოცნებამ“ ვერცერთი დაპირება ვერ შეასრულა. მათ საზოგადოების ყველა ფენა მოატყუეს და მათთან სათქმელიც არაფერი აქვთ. ამომრჩევლის ყურადღების გადატანას არეულობაზე საუბრით ცდილობენ. ინფორმაცია, რომ ჩვენ არეულობა გვინდა, ისეთი სიმართლეა, როგორც ის, რომ საქართველოში 100 საწარმო გაიხსნა და 1.000-მდე გარემონტდა.

ამ 4 წლის განმავლობაში არაერთხელ დაგვაბრალეს არეულობის მოწყობა და ამის დასამტკიცებლად ვერანაირი ფაქტები ვერ წარმოადგინეს. ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებთ არეულობის მოწყობას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს არაფერში გვჭირდება, რადგანაც გუნდის განახლებული შემადგენლობა ჩვენი ძლიერი მხარეა. ჩვენი მთავარი ამოცანაა, საარჩევნო ურნასთან დავამარცხოთ ივანიშვილი და მისი მომსახურე პერსონალი.

***– მის მომსახურე პერსონალში ვის გულისხმობთ?***

– მთავრობას. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ ადამიანმა მთავრობა პირადი მცველებითა და ექიმებით დააკომპლექტა, ეს ხალხი პირდაპირ მინისტრებად დანიშნა. ამიტომაც მოვიხსენიებ აღმასრულებელ ხელისუფლებას ივანიშვილის მომსახურე პერსონალად.

ქვეყანაში ერთადერთი ადამიანი, ვისაც არეულობა აწყობს, არის ხელისუფლება და პირადად ბიძინა ივანიშვილი. არეულობა თუ მოხდა, ის არც მოსახლეობას წაადგება და არც ქვეყნის წინსვლას. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ არეულობის მოწყობას შეეცდებიან, მაგრამ ამ პროვოკაციაში არ ავყვებით.

***– იმაზეც მიდის საუბრები, რომ ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ ნაციონალები ოპონენტებზე შურისძიებას დაიწყებენ. ამაზე რას იტყვით?***

– ჩვენს პარტიულ სიაში ახალი სახეების ჩართვა არის გარანტია იმისა, რომ რა გადაცდომებიც წინა ხელისუფლებამ დაუშვა, არავითარ შემთხვევაში არ გამეორდება. ის პოზიტივი კი, რაც იმ 9 წლის განმავლობაში იყო, აუცილებლად გაგრძელდება. და ძალიან უხერხულია, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ვიღაცის შურისძიებაზე რომ საუბრობენ. ბოლო 4 წელი „ქართული ოცნება“ მიმართავს შურისძიებას. ამ შურისძიებას წერტილს 8 ოქტომბერს დავუსვამთ.

ხმებს შურისძიებაზე სუსი ავრცელებს, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის პირადი მცველი ვახტანგ გომელაური ხელმძღვანელობს. მოსახლეობა აღარც ამ ანკესს წამოეგება. ჩვენ, ახალი სახეები, ვართ გარანტი იმისა, რომ ქვეყანაში ზიზღის და ბოროტების დათესვა აღარ გაგრძელდება. ჩვენ ვთვლით, რომ ივანიშვილის ერთ-ერთი მთავარი შეცდომა იყო შურისძიება, რასაც არავითარ შემთხვევაში არ გავიმეორებთ.

# ნატა ფერაძე თბილისის მერიასთან ლექციების ჩატარებას იწყებს



მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური სახელწოდებას იცვლის. ის გარემოს დაცვისა და მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის სახელწოდებით ჩამოყალიბდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილმა განუცხადა.

ალიბეგაშვილმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, რეორგანიზაციის შემდეგ სამსახურში შესაბამის მიმართულებებზე სამი განყოფილება შეიქმნება, თუმცა ალიბეგაშვილს არ დაუკონკრეტებია, რომელი იქნება ეს სამი მიმართულება.

– თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საკრებულოში გამოსვლის დროს მოუწოდა არასამთავრობო ორგანიზაციებს, ყველა დაინტერესებულ მხარეს კონსტრუქციული აქტივობისკენ, რათა ჩაერთონ აღნიშნული სამსახურის რეორგანიზაციის პროცესში. მერიაში ამ მიზნით რაიმე განსაკუთრებული სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა.

ვფიქრობ, რომ ყველას აქვს უფლება, არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს, არამედ კერძო პირებსაც, რომლებიც დაინტერესებას გამოხატავენ, ერთად ვიზრუნოთ დედაქალაქის ეკოლოგიაზე, – განაცხადა გიორგი ალიბეგაშვილმა.

* * *

„პარტიზანული მებაღეობის“ ხელმძღვანელი ნატა ფერაძე კოლეგა ლექტორებთან ერთად თბილისის მერიასთან ლექციების ჩატარებას იწყებს.

როგორც ფერაძემ განაცხადა, პერმანენტულად მერიის წინ გამწვანებისა და ეკოლოგიის შესახებ აქციები გაიმართება, სადაც ის მოიყვანს თავის სტუდენტებს, მერიასთან მივლენ სხვადასხვა ლექტორები და ისინიც გამართავენ ლექციებს.

– გამწვანების სამსახურის რეორგანიზაცია დაიწყო, მაგრამ სახელის შეცვლა რეორგანიზაციას არ ნიშნავს, – განაცხადა ნატა ფერაძემ.

მისი თქმით, საკრებულოში 2 სექტემბრის შეხვედრებზე არცერთი მათი წევრი ან მათ გვერდით მდგომი ორგანიზაცია არ ყოფილა.

– ეს არის, უბრალოდ, ილუზია, თითქოს აკეთებენ იმას, რასაც ვაპროტესტებთ, მაგრამ, რისი კეთებაც დაიწყეს, ეს არის შეურაცხმყოფელი. შეიკრიბნენ საკრებულოში და სახელი გადაარქვეს გამწვანების სამსახურს. ჩვენ ამით კიდევ უფრო გავბრაზდით, – განაცხადა ნატა ფერაძემ.

მისივე თქმით, მართალია, დავით ნარმანიას არ აინტერესებს, ნატა ფერაძე შიმშილობს თუ არა, მაგრამ მას მაინც მოუწევს ამის გაგება, ვინაიდან თბილისის მერს არ აქვს უფლება, არ აინტერესებდეს თავისი მოქალაქეების პროტესტი.

– ნარმანიას, ალბათ, არ შერცხვება, მაგრამ მოუწევს, წესიერი რეორგანიზაცია გაუკეთოს გამწვანების სამსახურს, – აღნიშნა ნატა ფერაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# მკვლელობა ვაკეში




2 სექტემბერს თბილისში, ვაკეში, რიგისა და ფალიაშვილის ქუჩების კვეთაზე მკვლელობა მოხდა.

მოკლულია სოსო ჯოხაძე, რომლის ცხედარი ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადაასვენეს. ცხედრის გადასვენებამდე ადგილზე იმყოფებოდნენ მისი მეგობრები, ოჯახის წევრები, და-ძმა, რომლებიც სამართალდამცველებს სთხოვდნენ, ძმასთან დამშვიდობების უფლება მიეცათ.

მოგვიანებით შსს-მ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

თვითმხილველის განცხადებით, ვაკეში, რიგის ქუჩაზე, მანქანაში მყოფი პირი ფეხით მოსიარულე მამაკაცმა ჩაცხრილა და ჭავჭავაძის გამზირისკენ გაიქცა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს რიგისა და ფალიაშვილის ქუჩების კუთხეში მომუშავე მეყვავილემ განუცხადა.

– დავინახე, როგორ გადმოუხვია შუქნიშანზე შავმა ავტომობილმა, რომელსაც უცბად მივარდა ფეხით მოსიარულე ადამიანი, რომელსაც კაპიუშონი ჰქონდა თავზე წამოფარებული. მან ჯერ ერთი მხრიდან მოუარა ავტომობილს და იქ მჯდომ მამაკაცს ესროლა, შემდეგ კი მეორე მხრიდან მიუახლოვდა და ასევე სროლა განახორციელა.

ამის შემდეგ ის გაიქცა ჭავჭავაძის ქუჩისკენ, ხოლო ავტომანქანიდან გასისხლიანებული ადამიანი გადმოვიდა და დახმარება ითხოვა. მაღაზიიდან გამოვიდნენ ქალები და მანქანიდან მეორე დასისხლიანებული ადამიანი გადმოიყვანეს, – განაცხადა თვითმხილველმა.

დაჭრილი პირი ადვოკატი ზაქარია ჩიბუხაშვილი აღმოჩნდა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა განუცხადა, რომელიც რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდა.

– სამწუხარო ფაქტია, რომ ადვოკატზე მოხდა თავდასხმა. მას აქვს ცეცხლსასროლი დაზიანება. მისი მდგომარეობა მძიმეა. მე შევხვდი კლინიკის დირექტორს. დარწმუნებული ვარ, ექიმები ყველაფერს გააკეთებენ, რომ ადვოკატის სიცოცხლე გადაარჩინონ, ხოლო შემდეგ გამოძიება გაარკვევს, თუ რა მოხდა. მე, როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ვიბრძოლებ, რომ უმკაცრესად იყოს დასჯილი ყველა ის პირი, ვინც ადვოკატის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეუქმნა საფრთხე, – განაცხადა ხატიაშვილმა.

დაჭრილ ადვოკატს რესპუბლიკურ საავადმყოფოში შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა. ის მხრისა და გულ-მკერდის არეშია დაჭრილი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „ამდენი გაყიდული პარტია არცერთ არჩევნებს არ ახსოვს“

## „უფასო სარეკლამო დრო არასწორი მიდგომაა“

ნონა ცაბაძე

**ექსპერტ სოსო ცინცაძის განცხადებით, 2016 წლის არჩევნებზე ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტად იქცა საგარეო პოლიტიკა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია.**

***— სხვა არჩევნებზე მსგავსი შემთხვევები არ გახსენდებათ?***

— არასოდეს. ძირითადი აქცენტები სოციალურ თემებზე კეთდებოდა, გაზის ტარიფი შემცირდება, ელექტროენერგიის და ასე შემდეგ. ახლა კი დებატები მიდის ასე: რუსეთი თუ დასავლეთი? ეს სიახლეა.

***— სააკაშვილის დროსაც ხომ იყო საუბარი საგარეო კურსზე?***

— ადრე თითქოს გარკვეული იყო, რომ რუსეთი მტერია, ნატო — მეგობარი და საკამათოც არაფერი იყო. მაშინ დისკუსია არ იყო. სააკაშვილის დროს რომელი პარტია გაბედავდა და იტყოდა, რუსეთის ბაზები აშენდეს თბილისშიო?! ან იმის თქმას ვინ გაბედავდა, რუსულ პენსიას დაგინიშნავთო?! ვანო მერაბიშვილი ასეთი განცხადებებისთვის კაცს რასაც უზამდა, ყველამ კარგად ვიცით.

***— მერე ეს ჯანსაღი პროცესია, რუსეთის ბაზების განლაგებას რომ გვპირდებიან თბილისში?***

— არა, მე ეს არ მითქვამს, ჯანსაღი ნამდვილად არ არის. ჯანსაღი როგორ იქნება საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების მოთხოვნა. უბრალოდ, სიტყვის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების მხრივ არის ჯანსაღი სიტუაცია. თუმცა ჯანსაღიც არის და ჯანსაღიც, როდესაც ქართველი მანდილოსანი, რომელიც თამარ მეფის შთამომავალია და კითხვაზე, რას აკეთებდიო, ასეთი უწმაწური სიტყვებით პასუხობს, თითქოს ესეც ჯანსაღია, ყველას ყველაფრის თქმის უფლება აქვს, უბრალოდ, არაეთიკურია. არაჯანსაღი იყო უკვე რეაგირება.

***— რომელი რეაგირება?***

— იმ თმაგაჩეჩილი ბიჭისა, „ოცნების“ ახალგაზრდა „ამომავალი ვარსკვლავი“ რომ არის, კობახიძე, მალე აიკრძალება ტელევიზიით ყველაფერიო. აი, ეს უკვე არაჯანსაღი იყო! ჩემი აზრით, ჯანსაღია პოზიცია, როდესაც კეთდება განცხადება — არანაირი ბაზები! არც რუსეთის ბაზები, რაც უფრო რეალურია და არც ნატოსი, რაც არარეალურია. ნატოს საქართველოში ბაზები არ სჭირდება და ეს რუსეთმა ყველაზე უკეთ იცის. ისევე, როგორც არ გვემუქრება რუსეთის მიერ დარიგებული პენსიები. მეტი საქმე არა აქვს რუსეთს, 2 მილიონზე მეტ უსაქმურს ფული უხადოს, როცა თავად გაზარდა საპენსიო ასაკი იმიტომ, რომ ფული არ აქვს.

***— წინასაარჩევნო პროცესში პოლიტიკური პარტიები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სარეკლამო დროს, თანაც უფასოს. უნდა ჰქონდეთ თუ არა მათ უფასო სარეკლამო დრო? რამდენად სწორია ეს მიდგომა?***

— ჩემი აზრით, არცერთ პოლიტიკურ პარტიას, უფასო სარეკლამო დრო არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამაზე უარესია დისკრიმინაცია, ზოგს აქვს, ზოგს არა აქვს. ამას მეორე უკიდურესობა სჯობია, ან ყველას ჰქონდეს, ან არავის. რას ნიშნავს უფასო სარეკლამო დრო? ეს არ არის უფასო! ეს ფასიანია! ჩვენი ჯიბეებიდან ფინანსდება.

***— ბიუჯეტის ფული მიდის?***

— რასაკვირველია! ბიუჯეტს ვინ ავსებს?! მთვარიდან ხომ არ მოდის?! ყველა თანაბარ პირობებში როცა იქნება, ეს არის ყველაზე სამართლიანი პროცესი. როდესაც არ იქნებიან პრივილეგირებულები. მე არ მესმის, ჩემს ხარჯზე რატომ უნდა ფინანსდებოდნენ თუნდაც იგივე სოციალ-დემოკრატები, რომელთა გავლენა საქართველოში ნულია! ერთი პროცენტიც არ აქვთ. ან იგივე კონსერვატორები რომ ავიღოთ. მათი გავლენაც ნულია! კონსერვატორებმა თავი დაამახსოვრეს ქართველ ხალხს ერთი „გენიალური“ საკანონმდებლო წინადადებით, რომ ყველამ ჩოხებით ვიაროთ სამსახურშიო. კონსერვატორების სხვა წინადადებები ახსოვს ვინმეს?! მე არა. მე არ მესმის, მაგათ რატომ უნდა ჰქონდეთ უფასო სარეკლამო დრო!

***— არიან ფინანსურად მდიდარი და ღარიბი პოლიტიკური პარტიები, გამოდის, რომ მაინც ვერ იქნებიან თანაბარ სიტუაციაში?***

— მიდგომის სხვა პრინციპებია დასამუშავებელი. სხვა მეთოდები უნდა ამოქმედდეს, თუნდაც ისეთი, როგორიც არის ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 5 ათას დოლარზე მეტს ვერ შესწირავ პარტიას, აკრძალულია. ეს სწორი მიდგომაა, რათა ფულიანმა უფულო არ დაჩაგროს. ჩვენთან კი ნახეთ, რა ხდება, პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ფინანსური შესაძლებლობები მწირი აქვს, მხარს არ უჭერენ, ღარიბი პარტიაა და რა პერსპექტივა აქვსო.

***— ანუ ფული წყვეტს ყველაფერს?***

— რასაკვირველია. ჩვენთან ყველაფერს წყვეტს ფული! ითხოვენ უფასო სარეკლამო დროს და რომ ჰკითხო,



ამიხსენი, რატომ უნდა გქონდესო, ამას ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ აგიხსნის. არ მესმის, რატომ უნდა ჰქონდეს უფასო სარეკლამო დროს პარტიას, რომელიც მოითხოვს რუსეთის სამხედრო ბაზებს თბილისში!

***— თქვენც წინააღმდეგი ხართ უფასო სარეკლამო დროის?***

— კატეგორიულად მე არც მომხრე ვარ და არც — წინააღმდეგი. ძალიან ბევრი ნიუანსია და ეს ყველაფერი უნდა დალაგდეს. თუმცა ეს პროფესიონალებმა უნდა დაალაგონ. მე არ მომწონს ეს უსამართლობა, მაგრამ მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია.

***— თუმცა თვლით, რომ უსამართლობაა?***

— დიახ, ნამდვილად უსამართლობაა, რომ ნულპროცენტიანი პარტიები ასიათასობით ლარის დაფინანსებას იღებდნენ და ვისაც მართლა ეკუთვნის და ხალხის მხარდაჭერაც აქვს, ის — ვერაფერს. თუმცა, როგორც ჩანს, იმ ხალხს, ვინც მსგავს გადაწყვეტილებებს იღებს, ჩვენი აზრი საერთოდ არ აინტერესებთ.

ეს არის ძალიან ცუდი და ამიტომ არის, რომ ჩვენ ასე შორს ვართ დემოკრატიისა ევროპისგან. კლასიკური აღმოსავლური ქვეყანა ვართ! არჩევნებს რაც შეეხება, დააკვირდით — ამდენი კინკლაობა, ამდენი გადაჯგუფება, პარტიების დაშლა. ყველაზე ცუდი რაც არის, არასოდეს ამდენი გაყიდული პარტია წინა არჩევნებში არ ყოფილა.

***— იყიდებიან პარტიები?***

— დიახ. თითო-ოროლა შემთხვევა კი იყო ყველა არჩევნებში, რომელსაც სააკაშვილი ყიდულობდა, რომელსაც შევარდნაძე ყიდულობდა, მაგრამ ახლა მასობრივი ხასიათი მიიღო ამ ყველაფერმა. მაგალითად, ბურჯანაძის მთელი ფრაქცია გაიყიდა.

***— და ვინ ყიდულობს, ივანიშვილი?***

— არა, სოსო ცინცაძე! აბა, ვინ იყიდის?! მე და თქვენ რისი მყიდველები ვართ?! ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა — გაყიდული პოლიტიკური პარტიები.

# ანა დოლიძე: „პარლამენტი ზერელედ და უპასუხისმგებლოდ იქცევა“



## გია ვოლსკი: „ასეთი როყიო განცხადება ანა დოლიძის თანამდებობას არ შეეფერება“



2 სექტემბერს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნაზე ისაუბრა.

მან პარლამენტს მოუწოდა, მოსამართლეები დროულად დაამტკიცოს.

ანა დოლიძე მმართველ გუნდში გაკეთებულ განცხადებებს გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მოსამართლეობის კანდიდატებზე 6 სექტემბერს იურიდიული კომიტეტის ფორმატში მსჯელობა, სავარაუდოდ, მხოლოდ ფორმალური ხასიათის იქნება და კანდიდატურების კენჭისყრას საკანონმდებლო ორგანო არჩევნებამდე ვერ მოასწრებს.

— კიდევ ერთხელ ვართ მოწმენი საქართველოს პარლამენტის ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა თავისი უმნიშვნელოვანესი ფუნქციისადმი, რომ უზრუნველყოს ქართველი ხალხისთვის მართლმსაჯულების უფლება და დროულად დანიშნოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, — განაცხადა ანა დოლიძემ.

პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატებზე 6 სექტემბერს იმსჯელებს.

ლევან ბოძაშვილის, ნონა თოდუასა და თამარ ლალიაშვილის მოსმენა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოხდება.

კომიტეტის სხდომაზე საკითხის მომხსენებელი პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე იქნება.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები უკვე მეორედ წარუდგინა.

თავდაპირველად გიორგი მარგველაშვილმა პარლამენტს ანა დოლიძის, თამარ ლალიაშვილისა და ნონა თოდუას კანდიდატურები შესთავაზა, თუმცა საკანონმდებლო ორგანომ მათ მხარი არ დაუჭირა. პრეზიდენტი პარლამენტის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და მას აღნიშნულ თანამდებობაზე ხელმეორედაც იგივე — თამარ ლალიაშვილისა და ნონა თოდუას კანდიდატურები წარუდგინა. ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გიორგი მარგველაშვილმა საკანონმდებლო ორგანოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ლევან ბოძაშვილის კანდიდატურაც შესთავაზა. რაც შეეხება ანა დოლიძეს, ის პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად დაინიშნა.

* * *

2 სექტემბერსვე ანა დოლიძის განცხადებას დეპუტატი გია ვოლსკი გამოეხმაურა.

— ანა დოლიძე თავის უფლებამოვალეობებს აჭარბებს და ასეთი როყიო განცხადება მის თანამდებობას არ შეესაბამება, — ასე პასუხობს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე.

ვოლსკი დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში ანა დოლიძე პრეზიდენტის სახელით არ ლაპარაკობს.

— გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევა, მოითხოვს არა მარტო ტექნიკური საკითხის მოგვარებას (რასაც მაღალი კვორუმის უზრუნველყოფა ჰქვია), არამედ შეთანხმებას სხვადასხვა ფრაქციასა და პოლიტიკურ სუბიექტს შორის, — აღნიშნა ბატონმა ვოლსკიმ.

მან ხაზი გაუსვა, რომ მმართველი პარტია წინასაარჩევნო ოპონირების რეჟიმშია ბევრ პოლიტიკურ სუბიექტთან, რომლებიც გუშინ ერთ კოალიციაში მოიაზრებოდნენ და ამ მხრივ შეთანხმების მიღწევაც სათუოა, რადგან პარლამენტში აღარ არის თანამოაზრეთა გუნდი.

— საკმაოდ ობიექტური ვითარებიდან გამომდინარე, ტექნიკური საკითხი რომც იყოს გადაწყვეტილი, ვფიქრობ, შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული. ასე რომ, ამ განცხადებას ვერანაირად ვერ შევაფასებ, როგორც ობიექტურ საფუძველზე დამყარებულს. ვფიქრობ, ეს ფაქტორები ძალიან კარგად ესმის საზოგადოებას და ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ ესმის პრეზიდენტის მრჩეველს, — განუცხადა ვოლსკიმ ინტერპრესნიუსს.

მან დასძინა, რომ არსებულ ვითარებაში საკმაოდ სათუოა მოსამართლეთა ასარჩევად აუცილებელი 76 ხმის შეგროვება.

მისივე თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით სწორი განცხადება გააკეთა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ.

— ჯობს, 1-2 თვე მოვიცადოთ და ხალხის მანდატით აღჭურვილმა პარლამენტმა მიიღოს გადაწყვეტილება ხმების საჭირო რაოდენობით, რათა უკვე შემდგომ წლებში უზენაესი სასამართლო იყოს დაკომპლექტებული იმ ადამიანებით, რომლებსაც ხმას მისცემს საზოგადოების მიერ მანდატით აღჭურვილი ახალი პარლამენტი, — განაცხადა დეპუტატმა.

მისთვის გაუგებარია ანა დოლიძის განცხადება.

— არ მინდა ვიფიქრო, რომ ის საზოგადოებაში დამატებითი დაძაბულობის ფაქტორის შემოტანას ცდილობს, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა ამას გვიჩვენებს. ეს არის მის თანამდებობასთან და ვითარებასთან შეუსაბამო, არაპროფესიონალური განცხადება, — აღნიშნა გია ვოლსკიმ.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის განცხადებას 2 სექტემბერს საღამოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი გამოეხმაურა.

— იმ დროს, როდესაც დღევანდელი მაღალი თანამდებობის პირებს ეშინოდათ ხმის ამოღება, ანა დოლიძის ხმა საკმაოდ მკაფიოდ ისმოდა, — განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბრისას გიორგი აბაშიშვილმა.

მან, ანა დოლიძის მსგავსად, დეპუტატებს მოუწოდა, შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები.

— მე ყველას გავუმეორებ ანა დოლიძის მოწოდებას, რომ ჯობს, დეპუტატებმა შეასრულონ მათზე დაკისრებული პირდაპირი მოვალეობები, — განაცხადა აბაშიშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# რაზე ესაუბრა სომხეთის პრეზიდენტი აფხაზებს

შორენა მარსაგიშვილი

**სომხეთის ხელისუფლება მორიგ სკანდალში გაეხვია. გასულ წელს მათი პარლამენტის თავმჯდომარე ცხინვალის რეგიონის პარლამენტის სპიკერს ჩაეხუტა, წელს კი სომეხთა პრეზიდენტი დაუტკბა აფხაზთა დელეგაციას.**



სიამტკბილობის გამოვლენის ორივე ფაქტს მთიან ყარაბაღში ჰქონდა ადგილი. ყარაბაღელები ამ პერიოდში დამოუკიდებლობას ზეიმობენ ხოლმე.

სომეხთა და აფხაზთა შეხვედრის ამსახველი ფოტოები რაულ ხაჯიმბამ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. სერჟ სარგსიანთან ჩახუტების ამსახველი კადრები მასთან ჩახუტებულმა კან ტანიამაც გამოაქვეყნა.

ამის მიუხედავად, ოფიციალური თბილისიცა და ერევანიც ამტკიცებენ, რომ შეხვედრა არ შემდგარა.

როგორც ყოფილი დეპუტატი პაატა დავითაია ამბობს, ეს შეხვედრა რამდენიმე დღის წინ შედგა.

– რამდენიმე დღის უკან სომხეთის პრეზიდენტი შეხვდა აფხაზეთის დელეგაციას ყარაბაღში, როდესაც იყო ე.წ. ყარაბაღის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, აფხაზეთის მხრიდან მიწვეული იყო ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კან ტანია, ერთობლივი სადილი გამართეს და ოფიციალური მიღება ჰქონდა სომხეთის პრეზიდენტს.

ეს ყოვლად აღმაშფოთებელია, იმიტომ რომ სომხეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და, აქედან გამომდინარე, დღეს ხდება ის, რომ პრეზიდენტი, ფაქტობრივად, იღებს ოფიციალურ დელეგაციას სეპარატისტული სახელმწიფოსი, რაც ყოვლად მიუღებელია. მე მინდა მივმართო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მიიღოს მკვეთრი ზომები, დაიბარონ სომხეთის ელჩი და მოსთხოვონ ახსნა-განმარტება, თუ რატომ შეხვდა ჩვენი მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი აფხაზეთის დელეგაციას, კერძოდ კი ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში პაატა დავითაია.

მისი განცხადებით, საქართველოს მთავრობამ მომხდარზე რეაგირება აუცილებლად უნდა მოახდინოს. ის ქვეყნის საგარეო უწყებას უსაქმურობაში ადანაშაულებს.

– ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სძინავს ამ მიმართულებით და არანაირ პოლიტიკას არ აწარმოებს, რათა ასეთი შეხვედრები არ მოხდეს. მთავრობა რომ აქტიური ყოფილიყო, ვერც კი გაბედავდა სომხეთის პრეზიდენტი, შეხვედროდა აფხაზეთის დელეგაციას, – მიიჩნევს დავითაია.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ფაქტს მოგვიანებით გამოეხმაურა. უწყების მტკიცებით, ყარაბაღში ასეთი შეხვედრა არ შემდგარა.

– სომხური მხარის განმარტებით, არანაირ შეხვედრას საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებთან ადგილი არ ჰქონია. ეს არის მორიგი პოლიტიკური სპეკულაცია, რომელსაც საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები ხშირად მიმართავენ ხოლმე, – განაცხადა ჟურნალისტებთან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძემ.

გიგი გიგიაძის თქმით, ამასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება:

– ჩვენ დავინტერესდით ამ საკითხით. ჩვენი ელჩი ესაუბრა სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილეს, პირადად ვესაუბრე სომხეთის ელჩს საქართველოში. სომხეთი არის მეგობარი ქვეყანა. ის ცალსახად აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ ვაგრძელებთ მჭიდრო თანამშრომლობას მათთან, – ამბობს გიგიაძე.

არადა, კან ტანიას მიერ სტეპანაკერტიდან ატვირთულ ფოტოებზე ნათლად ჩანს, რომ სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი, მთიანი ყარაბაღის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ბაქო სააკიანი და აფხაზეთის დელეგაცია საზეიმო ღონისძიებას ესწრებიან.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამ ფოტოზე ასახულ მოვლენას ვერაფრით ხსნის.

– ვერ გეტყვით, რასთან გვაქვს საქმე. შესაძლებელია, მომხდარიყო, უბრალოდ, გარკვეული გარემოების ან სიტუაციურად ადამიანების ჯგუფის გადაღება. ამ თემაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, იმიტომ რომ ამაზე ინფორმაცია არა გვაქვს. ოფიციალურად რაც შემიძლია დაგიდასტუროთ, ეს არის სომხური მხარის ძალიან ცალსახა განცხადება, რომ არანაირ შეხვედრას ადგილი არ ჰქონია, – განაცხადა გიგი გიგიაძემ.

ყარაბაღულ სიამტკბილობას პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გააკეთა განცხადება, რომ არანაირ შეხვედრასა და მით უმეტეს ოფიციალურ მოლაპარაკებებს ადგილი არ ჰქონია.

– სომხეთი არის ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორი, მეზობელი, მეგობარი ქვეყანა და ამ მიმართულებით არანაირი რისკები არ არსებობს, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

როგორც უკვე ვთქვით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლები სეპარატისტული რეგიონების წარმომადგენლებს ხვდებიან, ოფიციალური თბილისის ნაზი პროტესტის შემდეგ კი ამტკიცებენ, აფხაზებთან და ოსებთან შეხვედრა არ გვინდოდა, ჩაგვიდესო.

* * *

სომხეთის ხელისუფლებისგან განსხვავებული პოზიცია გამოამჟღავნა მოლდოვის ხელისუფლებამ. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მეორე მოადგილე ოლეგ არშბა დნესტრისპირეთში აპირებდა ჩასვლას. იქ მოსახვედრად არშბა კიშინიოვში უნდა ჩაფრენილიყო. კიშინიოვში ჩაფრენილი არშბა მოლდოველმა მესაზღვრეებმა უკან გამოაბრუნეს.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, ოლეგ არშბა ჯერ მოლდოვის სასაზღვრო პოლიციამ დააკავა, შემდეგ კი მისი დეპორტაცია მოხდა.

არშბას გამოდეპორტირება გააპროტესტა დნესტრისპირეთის საგარეო უწყებამ. ისინი აღნიშნავენ, რომ, დადგენილი წესების შესაბამისად, შეატყობინეს მოლდოვას არშბას ვიზიტთან დაკავშირებით.

– თუმცა, მიუხედავად ამისა, აფხაზეთის წარმომადგენლის წინააღმდეგ გატარებულ იქნა რეპრესიული ზომები. ეს ინციდენტი არის დადასტურება მოლდოვის მხარის სისუსტისა და პოლიტიკური უმწიფრობის, – აცხადებენ ე.წ. საგარეო უწყებაში.

აღსანიშნავია, რომ აფხაზური დელეგაცია გასულ წელსაც გამოაძევა მოლდოვამ. მათთან ერთად დეპორტს დაუქვემდებარეს ცხინვალის საგარეო უწყების წარმომადგენლებიც.

# დაზარალებულ მოქალაქეებს 6 მანქანა და კომერციული ფართი დაუბრუნდებათ



– დაზარალებულ მოქალაქეებს უკანონოდ ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული 6 ავტომანქანა და თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 589 კვ.მ. კომერციული ფართი დაუბრუნდებათ.

ამის შესახებ 2 სექტემბერს პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ გახსნილია ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი ფაქტი.

კერძოდ, 2010 წლის მაისის თვეში შსს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებს თაღლითობის ბრალდებით დაკავებული ჰყავდათ დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „იბერიის" დირექტორი დავით ჩიტაია.

გამოძიების მსვლელობისას შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა პატიმრობაში მყოფ დავით ჩიტაიას შეუთვალეს, რომ თუ მას სურდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება და საპატიმროს დატოვება, მას საპროცესო შეთანხმებისთვის უნდა გადაეხადა ჯარიმა 140.000 ლარი და, ამავდროულად, გენერალური ინსპექციისთვის შეეძინა „ჰიუნდაის" მარკის ა/მანქანა, რაც არ უნდა გახმაურებულიყო და ეს პირობა დარჩენილიყო საპროცესო შეთანხმების „ჩრდილოვან მხარედ".

წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დიდი ხნით მოუწევდა ციხეში ყოფნა.

აღნიშნული ზეწოლის შედეგად დავით ჩიტაია იძულებული გახდა, დათანხმებოდა უკანონო მოთხოვნას, რის შემდეგაც მან საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმის თანხის გადახდასთან ერთად, ოჯახის წევრების მეშვეობით, „ჰიუნდაის" ცენტრში 27.000 აშშ დოლარად შეიძინა ავტომანქანა „ჰიუნდაი ტუქსონ IX35", რომელიც მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა აჩუქა შს სამინისტროს.

მხოლოდ ამის შემდეგ მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რის საფუძველზეც განესაზღვრა პირობითი მსჯავრი და მან დატოვა საპატიმრო დაწესებულება.

* * *

2011 წლის შემოდგომაზე მთავარი პროკურატურა ფინანსური დანაშაულის ფაქტზე აწარმოებდა გამოძიებას შპს „შარაგზამშენი პირველის" დირექტორ გულადი ბერაიას მიმართ.

გამოძიების მსვლელობისას მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებმა ბიზნესმენ გულადი ბერაიას წაუყენეს პირობა, რომ თუ მას სურდა, ციხეში არ მოხვედრილიყო და გაფორმებოდა საპროცესო შეთანხმება, 190.000 ლარად უნდა შეეძინა „ჰიუნდაის" მარკის 5 ავტომანქანა და შემდგომ უსასყიდლოდ, ჩუქების გზით გადაეცა სახელმწიფოსთვის.

ბიზნესმენი იძულებული გახდა, დათანხმებოდა პროკურატურის უკანონო მოთხოვნას, „ჰიუნდაის" ცენტრში იძულებით შეიძინა 5 ერთეული „ჰიუნდაი IX35" და ჩუქების გზით გადასცა სახელმწიფოს, რის შემდეგაც მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება პირობით მსჯავრზე.

* * *

პროკურატურის უკანონო ქმედებებით ასევე დაზარალდნენ შპს „აბა და კომპანიას" მეწილეები, რომელთაც მთავარი პროკურატურის წარმომადგენლის უკანონო მოთხოვნით იძულებით დათმეს მათი კომპანიის ბალანსზე არსებული თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 589 კვ.მ. კომერციული ფართი.

კერძოდ, 2007 წლის დასაწყისში, მთავარი პროკურატურა სწავლობდა ზემოხსენებული კომერციული ფართის აუქციონზე გატანის და შესყიდვის კანონიერების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების მსვლელობისას ვერ იქნა დადგენილი შპს „აბა და კომპანიას" წარმომადგენლების მხრიდან ქონების შეძენისას რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი, მთავარი პროკურატურის წარმომადგენლის კატეგორიული მოთხოვნით და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მუქარით, მათ სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცეს კომპანიის კუთვნილი კომერციული ფართი.

* * *

– გამოძიებასთან გამოჩენილი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, ჩვენს მიერ მხილებული შსს გენერალური ინსპექციის და პროკურატურის ყოფილი თანამშრომლების მიმართ, რომელთაც დატოვებული აქვთ პროკურატურის რიგები, გამოყენებული იქნება დისკრეცია და არ მოხდება მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, – განაცხადეს პროკურატურაში.

თანამშრომლობის შედეგად გამოძიება გაგრძელდება შსს-სა და პროკურატურის ყოფილი ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიმართ.

* * *

ამრიგად, მთავარ პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, სახელმწიფოს მიერ მოქალაქე დავით ჩიტაიას დაუბრუნდება უკანონოდ ჩამორთმეული „ჰიუნდაი ტუქსონ IX35" მარკის ა/მანქანა, ბიზნესმენ გულადი ბერაიას ასევე „ჰიუნდაი IX35" მარკის 5 ა/მანქანა, ხოლო შპს „აბა და კომპანიას" წარმომადგენლებს გადაეცემათ ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული 589 კვ.მ. კომერციული ფართი.

– ახალი დეპარტამენტი აქტიურად აგრძელებს გამოძიებას ქონების უკანონოდ ჩამორთმევის სხვა ფაქტების გამოსავლენად, რასთან დაკავშირებითაც უახლოეს მომავალში პროკურატურა საზოგადოებას აცნობებს იძულებით ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე არსებული უძრავ-მოძრავი ქონების დაბრუნების მორიგი გადაწყვეტილების შესახებ, – განაცხადეს პროკურატურაში.

**ინტერპრესნიუსი**

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „პენიტენციარულ სისტემაში არნახული გარღვევა მოხდა"

უფლებადამცველ ნიკოლოზ მჟავანაძის შეფასებით, 2012 წლის შემდეგ, სასჯელაღსრულების სფეროში გატარებული რეფორმების მერე, ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა და სისტემა ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოეწყო.

მჟავანაძემ პენიტენციარულ სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე „ტვ პირველის" ეთერში ისაუბრა.



– ციხეში არნახული გარღვევა მოხდა. ამ სისტემაში ადამიანებს აწამებდნენ, აუპატიურებდნენ, უამრავ უღირს ქმედებას ჰქონდა ადგილი. დღეს კი, კახა კახიშვილის ხელმძღვანელობით, ის ევროპული სტანდარტების შესაბამის სისტემად იქცა, – განაცხადა მჟავანაძემ.

მან აღნიშნა, რომ პროცესი კვლავ გრძელდება.

– მაგალითად, დასავლეთ საქართველოში, დაბა ლაითურში ახალი ციხე შენდება, მშენებლობები სხვაგანაც მიმდინარეობს, – განაცხადა მჟავანაძემ.

მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში ციხეში შესულ ადვოკატებთან თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფი პირები შეშინებულნი და სრულად დემორალიზებულნი აჰყავდათ.

– ადრე არსებული „კაციჭამია" სისტემა ახლა მთლიანად მოდერნიზებული, შეცვლილი და განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გამოსწორებულია, – დასძინა უფლებადამცველმა.

**ინტერპრესნიუსი**

# გიორგი თევზაძე: „პრორუსულ ძალებს ხელისუფლება აქტიურად უნდა დაუპირისპირდეს“

## „რუსული ოკუპაციის ზოლთან მცხოვრები ქართველი მოსახლეობა გმირია“

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველი გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ ბოლო დროს საქართველოში პრორუსული ძალები გააქტიურდნენ.**

— ახლახან ბათუმში პომპეზურად დაფუძნდა „სახალხო მოძრაობა“, რომელიც თავის შეკრებებზე იყენებს საბჭოთა სიმბოლიკებს, რითაც ირღვევა კანონი და რაზეც ხელისუფლების ადეკვატური რეაგირება სუსტია. ასეთი ორგანიზაცია საქართველოში ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთის ხელშეწყობისა და დახმარების გარეშე, ალბათ, ვერ დაფუძნდებოდა. ეს თავისი შინაარსით შესაძლებელია წააგავდეს შულავერის კომიტეტს, რომ არაფერი ითქვას სხვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების უგულებელყოფაზე, — განაცხადა გიორგი თევზაძემ „ახალ თაობასთან“ საუბარში.

***— ბატონო გიორგი, რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების ადეკვატური რეაგირება სუსტია?***

— თუ ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები პატივს სცემენ საქართველოში მოქმედ კანონს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებას „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლებამ თავი უკანონოდ გამოაცხადა (ქვეყანაში დღემდე ძალაშია), 1989 წლის 9 აპრილს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს (რომელიც უკავშირდება თავისუფლებისათვის თავგანწირულ ბრძოლას), 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებს (რომლითაც საქართველოს მოსახლეობის სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმში ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღეს და საქართველოს დამოუკიდებლობას დაუჭირეს მხარი აფხაზეთში და სამაჩაბლოში მცხოვრებმა მოსახლეობის უმრავლესობამ), 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, სახელისუფლებო ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა შეისწავლონ და დაადგინონ, რა ძალები არიან დაინტერესებული და ჩართული ამ პროცესებში, რეალურად ვის ინტერესებს ახორციელებენ „სახალხო მოძრაობის“ ორგანიზატორები.

***— ამგვარი ორგანიზაციის შექმნით რა საფრთხეს ხედავთ?***

— ასეთი იდეოლოგიის თავს მოხვევა ახალგაზრდა თაობისთვის მომავალში არასახარბიელო შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და სუვერენიტეტისთვის.

***— როგორ?***

— ამ მოძრაობაში ჩართული არიან ახალგაზრდებიც, თავიანთი ახალგაზრდული ასაკიდან გამომდინარე, შეიძლება სრულად ვერ აცნობიერებდნენ თავიანთ ქმედებას. მომავალში კი ეს შეიძლება არაკეთილგანწყობილმა ძალებმა საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოიყენონ.

***— საქართველოს წინააღმდეგ როგორ გამოიყენებენ?***

— შესაძლოა, მომავალში ამ ფონზე ნაყოფიერი ნიადაგი შეექმნათ მეხუთე კოლონისა და შულავერის კომიტეტის მსგავსი სახის მოძრაობების ჩამოყალიბებას. ჩვენ ამის მწარე გამოცდილება გვაქვს წარსული ისტორიიდან.

***— არა მგონია, ჩვენმა მტრებმა ამჯერად საწადელს მიაღწიონ. რა, ახალგაზრდებს ახლა სოციალისტური და კომუნისტური იდეები აწუხებთ? მით უმეტეს, საქართველოს მტრებს შეიძლება დაუკავშირდნენ?***

— სოციალისტური იდეოლოგიის „სახალხო მოძრაობა“ შესაძლებელია, ნებსით თუ უნებლიეთ, აღმოჩნდეს მათთვის წახალისების საშუალება. მით უმეტეს, თუ თავიდანვე ხელისუფლება და შესაბამისი სახელმწიფო სამართალდამცველი სტრუქტურები ამ ფაქტზე დუმილსა და წაყრუების პოლიტიკას ამჯობინებენ.

***— შეიძლება, ხელისუფლება ფრთხილად მოქმედებს. არა მგონია, დღეს რომელიმე ხელისუფლება შეეგუოს ამგვარი საფრთხეების წარმოქმნას. თქვენ ეჭვს რა გიჩენთ?***

— გარკვეულ კითხვებს ბადებს აგრეთვე ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულება რუსული კომპანიების მიმართ, რომლებიც ღიად შემოდიან საქართველოს ბაზარზე.

***— საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოში ბიზნესი თავისუფალია. თუ ვინმე დაარღვევს კანონს, პასუხს აგებს.***

— როგორც გაირკვა, რუსული კომპანია „იანდექს ტაქსი“ არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამით კანონი ოკუპაციის შესახებ არ ირღვევა? თუმცა, საკითხავია, რამდენად აინტერესებს ეს შესაბამის სტრუქტურებს და ხელისუფლებას. არ გამიკვირდება, თუ ზოგიერთები მალე პირველი მაისის „სახალხო დემონსტრაციის“ აღდგენასაც მოინდომებენ და წითელი ლენინის საბჭოთა დროშებით გამოეფინებიან ქუჩებში.

***— ლენინის დროშები ისტორიას ჩაბარდა.***

— ასე არ არის. რუსეთი კვლავ აგრძელებს საქართველოს მიმართ საოკუპაციო პოლიტიკას. რუსი ჯარისკაცები შიდა ქართლში აფართოებენ საოკუპაციო ზოლს, ადგილობრივი მოსახლეობის მიწის ფართობებს იტაცებენ და მასთან ერთად ჩვენს კუთვნილ მიწაზე მოსულ ნათესებს ისაკუთრებენ. თუმცა, საერთაშორისო ინსტიტუტები მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით იფარგლებიან.

***— რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესაჩერებლად საერთაშორისო საზოგადოებას ბერკეტები ნაკლებად გააჩნია.***

— გორის რაიონის სოფელ სობისში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს, ქართველ მოსახლეობას რუსი ოკუპანტები როგორ ავიწროებენ. ქართული მხარე ამგვარი ფაქტების შესახებ ყოველთვის აცნობებს ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიას. თუმცა, ჩანს, რომ მათი ფუნქცია მხოლოდ რუსეთის მხრიდან დარღვევების სტატისტიკის შედგენა და მაყურებლის როლში ყოფნაა.

***— მთლად ასე არ არის.***

— ზოგჯერ რუსეთის ქმედებებს აღშფოთების განცხადებითაც ეხმიანებიან. 2008 წლიდან დღემდე საერთაშორისო საზოგადოება, ფაქტობრივად, სირაქლემის პოზას ინარჩუნებს.

***— ჩანს, რომ საერთაშორისო საზოგადოებას რუსეთთან პირდაპირი ომის დაწყება არ აწყობს.***

— ამიტომ საზოგადოებაში იბადება ბუნებრივი კითხვა, რამდენად სანდო პარტნიორსა და მოკავშირეს წარმოადგენს ევროპა და ევროპული სტრუქტურები საქართველოსთვის.



***— კითხვები იბადება, მაგრამ უკეთესი გზა არსებობს?***

— საქართველოს ხელისუფლებასა და საერთაშორისო საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ რუსული ოკუპაციის ზოლთან მცხოვრები ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა გმირია. ისინი ინარჩუნებენ ქართულ მიწებს. სხვა შემთხვევაში, რუსი ოკუპანტები თავიანთ საოკუპაციო ზოლს საკმაოდ სიღრმეში გადმოსწევდნენ. ასე იცის თავხედობისა დაუსჯელობის განცდამ. ამიტომ ადგილობრივ მოსახლეობას ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღება სჭირდება.

# „კვირიკაშვილის გარემოცვა და ნაციონალები საარჩევნო კომისიებშიც გარიგდნენ“

## მირიან მირიანაშვილი: „სააკაშვილის ჩამოსვლა ოქტომბერში გამორიცხულია“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერი მირიან მირიანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში წინასაარჩევნოდ შექმნილ სიტუაციასა და მოვლენების პოსტსაარჩევნო განვითარებაზე საუბრობს.**

**მირიან მირიანაშვილი:**

— წინა ინტერვიუშიც აღვნიშნე, რომ დასავლეთი ამ ეტაპზე არ მიიჩნევს მიზანშეწონილად სააკაშვილის დაბრუნებას საქართველოში. უკრაინაში სიტუაციის გართულებამ მოითხოვა სააკაშვილის ყოფნა უკრაინაში. იმის გამო, რომ სააკაშვილი ამ ეტაპზე ვერ ბრუნდება, ის სხვების გამო არ გაირჯება. ამიტომ აღარ არის მოსალოდნელი მოვლენების განვითარების რევოლუციური სცენარი.

***— ხმები არჩევნების შემდგომი ესკალაციის შესახებ მაინც ვრცელდება.***

— ეს მიზანმიმართულად ხდება. ნაცმოძრაობის მომხრეების სტიმულაციისთვის სააკაშვილის მითითებით ყრიან ჭორებს მიხეილ სააკაშვილის მოსალოდნელი ჩამოსვლის შესახებ. სინამდვილეში, ის უახლოეს ხანში ვერ ჩამოვა. ნაციონალების რევოლუციური სცენარი, ასე, 6-8 თვით გადაიდო.

***— აღნიშნეთ, სააკაშვილი სხვების გამო არ გაირჯებაო.***

— დიახ. სააკაშვილი პირადად ჯერ ვერ ჩამოდის. უკრაინაში ვითარების მეტ-ნაკლებად სტაბილიზაციამდე ის საქართველოში ჩამოსვლაზე ვერც იფიქრებს. სხვებისთვის იგი თავის რესურსებს არ დახარჯავს. ეს ისეთივე სიტუაციაა, როგორიც 1991 წელს შეიქმნა. 1991 წლის აგვისტოდან მოყოლებული კიტოვანი და სიგუა ტელეფონით მუდმივად ეთათბირებოდნენ შევარდნაძეს. შევარდნაძეს არც აგვისტოში, არც შემოდგომაზე არ ჰქონდა დრო და საშუალება, რომ საქართველოში ჩამოსულიყო. ამის გამო



გადატრიალება დეკემბრისთვის გადაიდო. ისიც არ იძლეოდა მოქმედებების ნებართვას, სანამ თავად არ მოახერხებდა ჩამოსვლას.

დღევანდელი სიტუაცია ამის სრული ანალოგიაა. სააკაშვილსაც არ სცალია. სწორედ ესაა ერთ-ერთი მთავარი მოტივი ახალი გარიგებისა, რომელიც ბოლო დროს გამოიკვეთა „ქართული ოცნების“ კვირიკაშვილის ჯგუფსა და ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს შორის.

***— მომავალ პარლამენტში ადგილების განაწილების თაობაზე?***

— გარიგების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ესაა. მომდის ინფორმაცია იმაზე, რომ გარიგება საუბნო და საარჩევნო კომისიებშიც გადმოვიდა. „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კომისიებში დატოვა ნაციონალების 90%. ეს ის ხალხია, რომელიც ნაცმოძრაობის მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდა. ამ ადამიანების უმრავლესობა ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს კომპრომატებით ჰყავდათ დაჭერილი.

***— თუ რევოლუციური სცენარი გადაიდო, რატომაა ამდენი საუბარი არჩევნების მოსალოდნელ გაყალბებაზე?***

— ეს სცენარი გადაიდო ორგანიზაციული და არა — პროპაგანდისტული თვალსაზრისით. არჩევნების გაყალბებაზე ნაციონალები და ამ პარტიის სატელიტები ბევრს იჟრიამულებენ, მაგრამ მათი სამოქმედო გეგმები შეიცვლება.

***— გიორგი კვირიკაშვილს რისთვის სჭირდება გარიგება ნაციონალებთან?***

— იგი ზრუნავს თავის პოლიტიკურ მომავალზე. მას არ უნდა, აღმოჩნდეს ირაკლი ღარიბაშვილის მდგომარეობაში. კვირიკაშვილს იმის შიში აქვს, რომ ისიც შეიძლება გადააყენონ. ამიტომ ის აწარმოებს ფარულ მოლაპარაკებებს ნაციონალებთან ბიძინა ივანიშვილის ზურგს უკან. ფაქტობრივად, ეს ახალი კოაბიტაციაა, რომელსაც რატომღაც ამერიკელებს აბრალებენ.

დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ აშშ არანაირ კავშირში არ არის ამ გარიგებებთან. პირიქით, ამერიკელები ამბობენ, რომ მათ არ აუკრძალავთ პასუხის მოთხოვნა ნაციონალური მოძრაობისთვის და სამართლიანობის დამკვიდრება. ასეთი გარიგებებით და აშშ-ის ჩარევაზე ჭორების დაყრით კვირიკაშვილის გარემოცვა აღვივებს ანტიდასავლურ განწყობას მოსახლეობაში. ჩვენს პარტიას საჯარო რეესტრმა იმდენი დაბრკოლება შეუქმნა, რომ საარჩევნოდ დარეგისტრირება ველარ მოხდა. ამაში პირადად გიორგი კვირიკაშვილი იყო ჩარეული. თუმცა, მე მაჟორიტარობის კანდიდატად ვაკეში მაინც დავრეგისტრირდი.

***— მიუხედავად იმისა, რომ გარიგებაა?***

— თუ კვირიკაშვილის ჯგუფსა და ნაციონალებს შორის გარიგება დიდ მასშტაბებს მიაღწევს, მაშინ არჩევნებში სხვების, მათ შორის, ჩემს მონაწილეობას აზრი აღარ ექნება.

***— ანუ შესაძლებელია, რომ ვაკეში გარიგების შედეგად არჩევნები ნაციონალმა ელენე ხოშტარიამ მოიგოს?***

— სხვადასხვა უბანში, ალბათ, სხვადასხვანაირად იქნება. ზოგან ერთი პარტიის კანდიდატს გაამარჯვებინებენ, ზოგან — მეორეს.

***— „ქართული ოცნება“ კანდიდატებად ყოფილ ნაციონალებს რომ აყენებს, ესეც გარიგების შედეგია?***

— მოტივი ყველგან ერთი და იგივე არაა. ზოგჯერ კანდიდატად დასახელებისას ან სიაში ჩასმისას მოტივია ფული. სააკაშვილის ერთ-ერთი მიზანია, რომ ნაცმოძრაობა მეორე ადგილზე გავიდეს, სხვა პარტიები კი პოლიტიკურად განადგურდნენ. მათ შორის, ალასანიასა და ბურჯანაძის ორგანიზაციები.

***— მათ პარლამენტში მოხვედრის შანსი აქვთ.***

— შეიძლება, თითომ 5 ან 6 კაცი გაიყვანოს პარლამენტში. ეს არაფერს შეცვლის. სააკაშვილს სხვა ოპოზიციური სპექტრის განადგურება უნდა. „ქართული ოცნების“ მდგომარეობა მძიმეა. ის დასუსტებულია, შეკრული არაა. გარდა ამისა, მას ელის ბრალდებები არჩევნების გაყალბების თაობაზე. ამ ყველაფერს სათავისოდ იყენებს ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც რევანშისტული გეგმები სამომავლოდ გადადო, მაგრამ მათზე უარი არ უთქვამს.


**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83



# აუდიტი პატრიოტთა ალიანსის 183.200 ლარით დაჯარიმებას ითხოვს

## პაატა ბურჭულაძის პარტია შეიძლება 39.000 ლარით დაჯარიმდეს

სახელმწიფო აუდიტის სამსახური 6 პარტიის, 1 დამოუკიდებელი კანდიდატისა და საკრებულოში „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარის დაჯარიმებას მოითხოვს.

უფრო კონკრეტულად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური სასამართლოს „პატრიოტთა ალიანსის“, მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“, „ჩვენი სამშობლოს“, „სახალხო პარტიის“, „ქართული იდეის“, ასევე დამოუკიდებელი კანდიდატის – თამარ იარაჯულისა და რიმა ბერაძის დაჯარიმების მოთხოვნით მიმართავს.

როგორც გენერალურმა აუდიტორმა ლაშა თორდიამ 2 სექტემბერს განაცხადა, „პატრიოტთა ალიანსმა“ სამი პირისგან 183.200-ლარიანი შემოწირულება მიიღო, რითაც დარღვეულია კანონი, რომ პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისგან მიღებული შემოწირულებების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 60 ათას ლარს.

– ჩვენ მივმართავთ სასამართლოს „პატრიოტთა ალიანსისთვის“ 183.200-ლარიანი ჯარიმის გამოწერის შესახებ, – განაცხადა ლაშა თორდიამ.

რაც შეეხება მოძრაობას „სახელმწიფო ხალხისთვის“, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, პაატა ბურჭულაძის პარტიამ 4 პირისგან უკანონო შემოწირულება მიიღო, რამაც 19.500 ლარი შეადგინა.

– შემომწირველ პირებს არ უფიქსირდებათ შემოსავლების სამსახურში საკმარისი თანხები და ვერც გამოკითხვის პროცესში ვერ დაადასტურეს შემოსავლების არსებობა. შესაბამისად ვთვლით, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი საკუთარი სახსრები აღნიშნული შემოწირულობის განსახორციელებლად და ვითხოვთ აკრძალული შემოწირულების განხორციელების მოტივით ორმაგი ოდენობის ჯარიმას 39.000 ლარის ოდენობით, – აღნიშნა ლაშა თორდიამ.

პარტიების „ჩვენი სამშობლოს“, „სახალხო პარტიისა“ და „ქართული იდეის“, ასევე დამოუკიდებელ კანდიდატ თამარ იარაჯულის მიმართ სამართალდარღვევის ოქმები შედგენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევის გამო.

ლაშა თორდიას უწყება ამ შემთხვევაში პარტიების მიმართ 2.000-ლარიანი ჯარიმის, ფიზიკური პირისთვის კი 1.000-ლარიანი ჯარიმის შეფარდებას ითხოვს.

რაც შეეხება საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე რიმა ბერაძეს, როგორც გენერალურმა აუდიტორმა განაცხადა, საქმე ეხება რიმა ბერაძის მიერ პედაგოგებისთვის უფასო გამოკვლევების ჩატარებას.

– დადგინდა დარღვევა, რადგან ღონისძიება გამოყენებულ იქნა პოლიტიკური პარტიის წევრის სასარგებლოდ და მიგვაჩნია, რომ პარტიის წარმომადგენლის სასარგებლოდ განხორციელებულია 2.000 ლარის შემოწირულობა, რაც ითვალისწინებს როგორც შემოწირულების განმახორციელებლის („ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავალი“), ასევე მიმღებისთვის ორმაგი ოდენობის სანქციას, ჯამში – 8.000 ლარს. ჩვენ მივმართავთ სასამართლოს, – განაცხადა ლაშა თორდიამ.

# მაია მიმინოშვილი: „გამოსავალი უკეთ სწავლაშია“

ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულდა. როგორ აფასებს წლევანდელ შედეგებს, რითი ხსნის ჩარიცხვების თაობაზე ინფორმაციის წინასწარ გავრცელებასთან დაკავშირებულ ხარვეზს – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კომპეტენციაში შემავალ ამ და სხვა საკითხებზე ინტერპრესნიუსი ცენტრის ხელმძღვანელ მაია მიმინოშვილს ესაუბრა.

***– ქალბატონო მაია, დასრულდა 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები. მთლიანობაში, როგორ შეაფასებდით პროცესის მიმდინარეობას და შედეგებს?***

– წლევანდელი გამოცდები ჩვენი ორგანიზაციისთვის განსაკუთრებული იყო. ჩვენ მნიშვნელოვანი სიახლე შევთავაზეთ აპლიკანტებს. ცენტრი სერიოზული გამოწვევის წინაშე იდგა. ერთ, თუნდაც მცირე ხარვეზს შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემა შეექმნა ახალი სისტემის დანერგვის პროცესისთვის.

საგამოცდო პროცესმა ყოველგვარი ხარვეზის გარეშე ჩაიარა და ეს უკვე წინაპირობაა იმის, რომ მომდევნო წლებში კიდევ უფრო მეტ სიახლეს შევთავაზებთ აპლიკანტებს.

***– წელს პირველად გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარდა. აბიტურიენტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ აღნიშნულმა სიახლემ მათ გამოცდის ჩაბარება გაუადვილა, თუმცა იყვნენ უკმაყოფილოებიც. გაამართლა სიახლემ?***

– წლევანდელი სიახლე პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ სრულად გადავიდეთ გამოცდების ელექტრონულ ფორმატზე. ბუნებრივია, ფორმატის შეცვლა ჩვენი თვითმიზანი არ არის. ელექტრონულ ფორმატს ძალიან ბევრი დადებითი მხარე აქვს.

***– აბიტურიენტების ვნებათაღელვა გამოიწვია ეროვნული გამოცდების შედეგების შესახებ წინასწარ გავრცელებულმა ინფორმაციამ, როდესაც აპლიკანტებმა მესიჯის გაგზავნის შემდეგ, ქულებთან ერთად იმ მომენტისთვის სისტემაში არსებული დამატებითი ინფორმაციაც მიიღეს. რამ განაპირობა აღნიშნული ხარვეზი?***

– ძალიან ვწუხვარ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ფაქტმა აბიტურიენტების გარკვეული ნაწილის ვნებათაღელვა გამოიწვია. გარკვეული ნაწილის, ვინაიდან უმრავლესობამ იცოდა, რომ საბოლოო შედეგების გამოცხადებისთვის ცენტრი მზად 25 აგვისტოსთვის იქნებოდა და უპირველეს ყოვლისა, შედეგებს ჩვენს ვებგვერდზე გამოვაცხადებდით.

***– წინა გამოცდების მსგავსად, წელსაც აჟიოტაჟის საგანი გახდა მასწავლებელთა საგნის გამოცდის შედეგები. აჟიოტაჟის მიზეზი ზოგ შემთხვევაში არასწორი ინტერპრეტაციით გავრცელებული ინფორმაცია იყო, თუმცა შედეგები სახარბიელო ნამდვილად არ არის.***

– გამოცდაზე გამოსულთაგან რამდენი იყო მოქმედი პედაგოგი და რამდენი პედაგოგობის მსურველი, ამ სტატისტიკას ჩვენ არ ვფლობთ. სურათი არასახარბიელოა – აპლიკანტთა დაახლოებით 80% ვერ აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ის დოკუმენტი გახლავთ, რომელსაც ქმნის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი და ამტკიცებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

მასში ნათლად და მკაფიოდ არის გაწერილი, რა კომპეტენციებს უნდა ფლობდეს კონკრეტული საგნის მასწავლებელი. სწორედ ამ დოკუმენტით ვხელმძღვანელობთ ჩვენ შეფასების ინსტრუმენტის მომზადებისას და ტესტური დავალებებიც იქმნება სტანდარტის შესაბამისად. ჩვენ უფლება არ გვაქვს, აპლიკანტს მოვთხოვოთ ის, რაც სტანდარტით არ არის გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, წინააღმდეგი ვარ, გამოცდების შედეგების საფუძველზე ვიმსჯელოთ მოქმედი პედაგოგების მომზადების დონეზე.




***– განათლების მინისტრი მასწავლებელთა საგნის გამოცდის შედეგებში განსაკუთრებით ცუდს ვერაფერს ხედავს. ალექსანდრე ჯეჯელავა ამბობს, რომ ნებისმიერი გამოცდა, რომელიც პრეტენდენტების 70-80 %-ს ჩაჭრის, ან მათ ბარიერს ვერ გადაალახვინებს, არ არის კარგი გამოცდა. როგორია თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით?***

– ამ აზრს სასელექციო ტიპის გამოცდასთან დაკავშირებით დავეთანხმებოდი. სასერტიფიკაციო ტიპის გამოცდაზე კი აპლიკანტის კომპეტენციებს ვადარებთ წინასწარ დადგენილ სტანდარტს, ამ შემთხვევაში მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. ამიტომაც ამგვარ გამოცდაზე ბარიერის დადგენის პროცედურაც განსხვავებულია, რაც არაერთი ექსპერტის, მათ შორის, პრაქტიკოსი პედაგოგების ჩართულობას გულისხმობს.

***– შარშანდელთან შედარებით, გაზრდილია საატესტატო გამოცდაზე ჩაჭრილი მოსწავლეების რიცხვიც, თუმცა ამ შემთხვევაში პრეტენზიები გამოცდების სისტემასთან ნაკლებად ისმის. თქვენც ხშირად აღნიშნავთ, რომ ბარიერი ისედაც დაბალია და ზღვარის კიდევ უფრო დაწევა არ იგეგმება. რაში ხედავთ გამოსავალს?***

– გამოსავალი უკეთ სწავლაშია. ყველამ უნდა მოვინდომოთ – მასწავლებლებმა, მშობლებმა და, რაც მთავარია, მოსწავლეებმა.

***– დაბოლოს, ბოლო წლებია პერიოდულად საუბრობენ საატესტატო და ეროვნული გამოცდების გაერთიანების შესაძლებლობაზე. რა სიახლეებს შეიძლება ელოდონ აბიტურიენტები და როდიდან?***

– მინისტრს ბევრი სერიოზული ცვლილება აქვს დაგეგმილი არაერთი მიმართულებით. როგორი იქნება მომავალში საგამოცდო მოდელი ან მოდელები, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე. ჯერჯერობით უნდა დაველოდოთ. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება ჩვენთვის კონკრეტული ცვლილებები, უკვე შევძლებთ, მათ მოვარგოთ საგამოცდო სისტემა თუ სისტემები.

# არჩილ თალაკვაძე შესაძლოა არჩევნებიდან მოხსნან

## რას ედავებიან „ოცნების“ კანდიდატს

შორენა მარსაგიშვილი

**გურიაში „ქართულ ოცნებას" აშკარად შავად აქვს საქმე. რამდენიმე დღის წინ ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარობის კანდიდატ თემურ ჭკუასელს ვაშლები დაუშინეს, ოზურგეთის მაჟორიტარობის კანდიდატი კი შესაძლოა არჩევნების მიღმა დარჩეს. მას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას სდებენ ბრალად.**

მაჟორიტარად წარდგენამდე არჩილ თალაკვაძეს შს მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა. მის საკითხს ამ დღეებში უწყებათაშორისი კომისია განიხილავს.

როგორც ოზურგეთში ოპოზიციური კანდიდატები აცხადებენ, თალაკვაძე ადმინისტრაციულ რესურსს ყოველდღიურად იყენებს, თუმცა, იქვე აზუსტებენ, რომ ეს არც უკვირთ, რადგან სხვანაირად მას მეორე ტურში გადასასვლელად არანაირი რესურსი და შანსები არ გააჩნია:

– „ქართული ოცნების“ კანდიდატი ადმინისტრაციულ რესურსს ყოველდღიურად, პერმანენტულად იყენებს. ამის შესაბამისი დამამტკიცებელი უამრავი აუდიო, ვიდეომასალა და მტკიცებულებები გვაქვს, მივმართეთ უწყებათაშორის კომისიას და ველოდებით გადაწყვეტილებას, – განაცხადა „გურიის მოამბესთან“ საუბარში გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელმა გურიაში კახა ჩავლეიშვილმა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არჩილ თალაკვაძეს ჯერ რეგისტრაცია გავლილი არა აქვს.

2 სექტემბრის მონაცემებით, ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში მაჟორიტარობის მხოლოდ ორი კანდიდატია რეგისტრირებული. ესენი არიან „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“, კანდიდატი ავთანდილ (ზურაბ) ჩხაიძე და მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი გოჩა ძიმისტარიშვილი.

„ქართული ოცნება“ აქტიურად ეძებს თემურ ჭკუასელის შემცვლელს და, არ არის გამორიცხული, ოზურგეთშიც მოუწიოს კანდიდატურის შეცვლა.

5 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილი გურიის რეგიონში მოქმედ მედიასაშუალებებს შეხვდება, სადაც თალაკვაძესა და ჭკუასელზეც



მოუწევს საუბარი. გადაწყვეტილებაც მისი განცხადებების საფუძველზე იქნება მიღებული.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც აეკრძალა სახელისუფლებო კანდიდატს არჩევნებში მონაწილეობა. ნაცმოძრაობის კანდიდატი დუშეთში ზურაბ ოტიაშვილი არჩევნებიდან მოხსნეს. მას ამომრჩევლის მოსყიდვას ედავებოდნენ.

...

სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, გურიაში არჩევნების მიმართ ინტერესი მაღალია. „გურიის მოამბემ“ ქუჩის გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხულთა უმეტესობა არჩევნებზე აუცილებლად წავა, მიუხედავად იმისა, რომ არ იცის, ვის მისცემს ხმას.

# ადვოკატი: „მე-6 დაწესებულების პატიმრებს არაადამიანურად ექცევიან“

რუსთავის საქალაქო სასამართლოდან გაქცეული პატიმრის ოთარ ვარამაშვილის ადვოკატ ალექსანდრე კობაიძის განცხადებით, მე-6 დაწესებულებაში, სადაც ვარამაშვილი იმყოფებოდა, არის ისეთი პირობები, რომლებიც არ შეესაბამება იმ საერთაშორისო ნორმებს, რომლებიც ევროპაშია.

– მე-6 დაწესებულებაში არის ისეთი პირობები, რომლებიც არ შეესაბამება იმ საერთაშორისო პრინციპებს, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპის ქვეყნებში. მაგალითად, ბრეივიკი სადაც სასჯელს იხდის, იქ ასეთი რამ არ შეიძლება, რომ ჩაკეტილი ჰყავდეთ, არ აძლევდნენ ჰიგიენის საშუალებებს, არ აცმევდნენ წესიერად და არ აჭმევდნენ, – განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.



მისივე თქმით, მე-6 დაწესებულების პატიმრებს არაადამიანურად ექცევიან, რის შესახებაც მას და მის ორგანიზაციას არაერთხელ მიმართეს პატიმრებმა.

**ინტერპრესნიუსი**

## მიწისძვრა ახალ ზელანდიაში



ახალი ზელანდიის ტერიტორიაზე მიწისძვრა მოხდა. მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ არის. ხელისუფლება შიშობს, რომ ცუნამის წარმოქმნის საფრთხე არსებობს.

დაწყებულია მოსახლეობის ევაკუაცია.

## რომის პაპი დედა ტერეზას კანონიზაციის ცერემონიალს ჩაატარებს



4 სექტემბერს ვატიკანში დედა ტერეზას კანონიზაცია მოხდება. ცერემონიალს პირადად რომის პაპი გაუძღვება.

– დედა ტერეზა დიდი ადამიანი იყო, – განაცხადა პაპმა.

დედა ტერეზამ მთელი ცხოვრება გაჭირვებულ ხალხზე ზრუნვას მოახმარა. ამის გამო ნობელის პრემიაც დაიმსახურა. მიუხედავად მსოფლიო აღიარებისა, ის უბრალოდ ცხოვრობდა და მუდამ მზად იყო, ადამიანებს დახმარებოდა.

– ბევრ ადამიანს შია, მაგრამ არსებობს უფრო საშინელი რამ, ვიდრე შიმშილი! ეს სიყვარულის დეფიციტია, – ამბობდა დედა ტერეზა.

## კიევის სასამართლომ შოიგუს დაპატიმრების ორდერი გასცა



კიევის პეჩორსკის რაიონულმა სასამართლომ რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის ორგანიზება დასდო ბრალად. გაიცა მისი დაპატიმრების ორდერი.

რუსეთის დუმაში ამ გადაწყვეტილებამ ნამდვილი შოკი გამოიწვია. დუმის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კალაშნიკოვმა განაცხადა, რომ ეს არის გაუგონარი საქციელი, რომელიც არავითარ ჩარჩოებში არ ჯდება.

– ბარემ პუტინის დაპატიმრების ორდერიც გაეცათ, – თქვა კალაშნიკოვმა.

## მასობრივი საპროტესტო აქციები ვენესუელაში

კარაკასში მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო პრეზიდენტ მადუროს გადაყენების მოთხოვნით. ქუჩაში 100.000 ადამიანი გამოვიდა. ისინი სკანდირებდნენ: „მადურო, წადი“ და ა.შ.

ასეთი მასობრივი საპროტესტო აქცია ვენესუელაში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში არ ყოფილა.

პრეზიდენტმა მადურომ, თავის მხრივ, ცადა, ქუჩაში თავისი მომხრეები გამოეყვანა. მან მხოლოდ 30.000 ადამიანის შეკრება შეძლო.

– მოვითხოვთ ოპოზიციონერთა დაპატიმრებას! ისინი ამერიკის აგენტები არიან! – სკანდირებდნენ პრეზიდენტის მომხრენი.



# რუსეთი უკრაინაში დიდ ინტერვენციას ვერ გაბედავს

### აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები გააფართოვა



აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები გააფართოვა. მიზეზი უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული აგრესიაა.

სანქციები გავრცელდება როგორც გაზპრომ-მედიაზე, აგრეთვე ფირმაზე, რომელიც „ქერჩის ხიდს“ აშენებს, რომლის მიზანია, დააკავშიროს ყირიმი რუსეთის ტერიტორიასთან.

ხიდის მშენებლობა ისედაც მილიარდები ჯდება. სანქციების შემთხვევაში მშენებლობას აზრი დაეკარგება.

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ამერიკელებს მადლობა გადაუხადა. ბარაქ ობამასთან სატელეფონო საუბარში მან განაცხადა, რომ უკრაინელები მუდამ დარწმუნებულნი იყვნენ ამერიკელთა კეთილშობილებაში და მოხარულია, რომ ეს მოლოდინი გამართლდა.

– უკრაინაც, თავის მხრივ, ამერიკის ერთგული მოკავშირე იქნება, – თქვა პოროშენკომ.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დენ ფრიდმა ხაზი გაუსვა უკრაინული არმიის გმირულ წინააღმდეგობას და განაცხადა, რომ სანქციებმა, პლუს უკრაინელთა წინააღმდეგობამ, რუსეთის აგრესიული გეგმები ჩაშალა.

– პუტინი იძულებული გახდა, პროექტ „ნოვოროსიაზე“ უარი ეთქვა და მინსკის შეთანხმებებს დაყაბულებულიყო, – ამბობს ფრიდი.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დონბასში შექმნილი ვითარებისა და რუსეთ-უკრაინის საზღვარზე დიდი ოდენობით რუსული არმიის კონცენტრაციის გამო შეშფოთება გამოთქვა. ამავე დროს, მან განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინაში ფართომასშტაბიან ინტერვენციას ვერ გაბედავს.

– ამას, უბრალოდ, აზრი არ აქვს, რადგან უკრაინული არმია დღეს უკვე საკმაოდ ძლიერია. დანაკარგები, რასაც რუსეთი წააწყდება, დიდი იქნება (სავარაუდოდ, 50-80 ათასი ჯარისკაცი). დავუმატოთ ამას დასავლეთის სანქციები და მივხვდებით, რომ ინტერვენციას ელემენტარულად აზრი ეკარგება, – თქვა მან.

ფრიდმა აღნიშნა, რომ ინტერვენციის შემთხვევაში აშშ-ს სათანადო გეგმა გააჩნია.

– ჩვენ საამისოდ მზად ვართ, – აცხადებს ფრიდი.

## ჩეხეთის კონტრდაზვერვა: „რუსეთის აგენტურა ძალიან გააქტიურდა“



ჩეხი კონტრმზვერავების აზრით, რესპუბლიკაში რუსი ჯაშუშების უპრეცედენტო გააქტიურება შეინიშნება. მათ მიერ მომზადებულ სპეციალურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ რუსული აგენტურის კოორდინაცია რუსეთის საელჩოდან ხდება.

– რუსი დიპლომატების უმრავლესობა სპეცსამსახურების ოფიცერია, – ამტკიცებენ კონტრმზვერავები.

რუსი ჯაშუშები ძირითადად ორი მიმართულებით მოქმედებენ. პირველია ცრუ ინფორმაციის გავრცელება სირიასა თუ უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე. რუსები ცდილობენ, ჩეხები დაარწმუნონ, რომ ამერიკელები მხარს სირიელ ექსტრემისტებს უჭერენ, რომლებიც ქრისტიანობის წინააღმდეგ გამოდიან. ასე ლამობენ, ჩაუნერგონ ჩეხებს აზრი, რომ ამერიკა ქრისტიანობის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობს.

– აქამდე გამოიყენებოდა სქემა: ამერიკა მართლმადიდებლობას ებრძვის, ახლა არეალი გაფართოვდა და რუსები ამტკიცებენ, ამერიკა საერთოდ ქრისტიანობას ებრძვისო, – ნათქვამია მოხსენებაში.

რაც შეეხება უკრაინას, რუსი ჯაშუშები ამტკიცებენ, რომ უკრაინაში მოხდა გადატრიალება. ხელისუფლებაში პროფაშისტური ძალა მოვიდა, რამაც სამოქალაქო ომი განაპირობა,

– რუსები ბანდერელებს კვლავაც ფაშისტებად მოიხსენიებენ, თუმცა ეს სინამდვილეს არ შეეფერება! – წერენ ჩეხი კონტრმზვერავები.

მეორე მიმართულება, რომლითაც რუსები მოქმედებენ, ექსტრემისტული დაჯგუფებების ფინანსირება-წახალისებაა. ძირითადად ესენია ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე ჯგუფები, რომლებიც გამოდიან ევროკავშირის, ნატოს წინააღმდეგ, აშშ-ს კი სატანურ სახელმწიფოდ მოიხსენიებენ. რუსული პროპაგანდა იყენებს სქემას: აშშ ეწევა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას, ნერგავს გარყვნილებას და ა.შ. შესაბამისად, თუკი გვინდა, შევინარჩუნოთ ზნეობა, გადავარჩინოთ ეკლესია, ნატოდან უნდა გავიდეთ, ევროკავშირი დავშალოთ და ამერიკას ჩამოვშორდეთ.

ასეთი პროპაგანდა დღისით-მზისით, თანაც ფრიად აგრესიული ფორმებით ხდება, რაც უკვე სახელმწიფოს უქმნის საფრთხეს.

– თუკი ამას სათანადო პასუხი არ გაეცა, შესაძლოა, დესტაბილიზაცია მოხდეს, – ფიქრობენ ჩეხი კონტრმზვერავები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# კანის დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

## ენა ორგანიზმის სარკეა

ჩვენი ენა ორგანიზმის მდგომარეობის სარკეა. თუ გსურთ გაიგოთ ორგანიზმში დაგიგროვდათ თუ არა შხამები, სარკეში ენას კარგად დააკვირდით. ალბათ შემჩნეული გაქვთ, რომ ენაზე ნადები ჩნდება ხოლმე. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ტოქსინები გამოიყოფა ნერწყვით და რადგან ღამე ნერწყვს ვერ ვყაპავთ, შხამები ილექება ენაზე. ამიტომ დილით სარკეში ჩახედვისას ენაზე ნადების ფერის მიხედვით შეგიძლიათ დაასკვნათ, რომელი ორგანოს დაავადებასთან გვაქვს საქმე.



1 ენაზე თეთრი ფერის ნადები – კუჭის დაავადების ნიშანია.

2 ყვითელი ფერის ნადები – სანაღვლე სისტემის დაავადების მაუწყებელია.

3 რუხი ფერის ნადები – კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეასის) ფუნქციის დარღვევაზე მეტყველებს.

4 მოლურჯო ფერის ნადები – გულის დაავადებაზე მეტყველებს.

5 თუ ენა მკვეთრი წითელი ფერისაა, შესაძლოა ორგანიზმში ანთებითი პროვეცესი მიდის.

6 ენა თუ წითელი და ნადების გარეშეა – დაწყებულია გამოშრობა.

7 ენა თუ მოცისფრო – მეწამულია, გაუარესებულია სისხლის მიმოქცევა.

8 ენა თუ ფერმკთალია – შეყოვნებულია ნივთიერებათა ცვლა.

9 ენა თუ ვარდისფერი გაქვთ, სველი, თხელი თეთრი ნადებით ნერწყვისგან – თქვენ სრულიად ჯანმსთელი ხართ; ამას სპეციალისტები ამტკიცებენ. ასევე კარგი იქნება თუ ყოველ დილით, კბილების გახეხვასთან ერთად გაისუფთავებთ ენასაც.

## ვაშლის ძმარი უძილობას შველის

უძილობა არის ძილის პროცესის დარღვევა ნერვული სისტემის აღგზნებადობის მიზეზით. ამ დროს ადამიანი დროზე ვერ იძინებს, ან იღვიძებს ჩვეულებრივზე ადრე. ზოგჯერ ძილი ხანგრძლივია, მაგრამ ზერელე. ასეთ დროს ხშირია სიზმრები, ხშირად ეს სენი აწუხებთ გონებრივი შრომით გადაღლილ ადამიანებს.

უძილობის მკურნალობა ხალხური მედიცინის რეცეპტებით

– 3 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი 1 ჩაის ჭიქა თაფლში არეული არაჩვეულებრივი საძილე საშუალებაა. ძილის წინ ღებულობენ 2 ჩაის კოვზს. მიღება შეიძლება ღამით.

– 1 სუფრის კოვზი შვრიის მარცვალი ან ფანტელები უნდა იხარშოს 2 ჭიქა წყალში დიდხანს (განახევრებამდე). სვამენ როგორც ჩაის.

– 2 სუფრის კოვზ ივან-ჩაის (იყიდება აფთიაქებში) ასხამენ 2 ჭიქა მდუღარე წყალს თერმოსში და აჩერებენ 6 სთ. ღებულობენ თანაბარ ულუფებად 3-4-ჯერ დღეში ნევრასთენიის, უძილობისა და თავის ტკივილის დროს.

– ვალერიანას დაქუცმაცებულ ფესვებს (2 ჩაის კოვზს 1 ჭიქა მდუღარე წყალზე) ათავსებენ მდუღარე წყლის აბაზანაში 30 წუთით. ღებულობენ 1 სუფრის კოვზ ნაყენს დღეში 3-4-ჯერ. ბავშვებს აძლევენ ჩაის კოვზით 2-3-ჯერ დღეში. ძლიერი აღგზნებადობის დროს შეიძლება 1/2 ჩაის ჭიქა ვალერიანის ნაყენის მიღება 2-3-ჯერ დღეში.

– ავსებენ ბალიშს თავშავას ყვავილებით, არყის ხის ფოთლებით ან სვიის გირჩებით, ამ მცენარეების აქროლადი ნივთიერებების გავლენით ძილის პროცესი უმჯობესდება.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

კანის დაავადებებიდან ყველაზე გავრცელებულია ეგზემა. ეგზემა კანის ზედაპირული ანთებითი პროცესია. გამოიხატება სიწითლით, ბუშტების, ქერქისა და ქერცლის წარმოქმნით. თან ახლავს წვა, ქავილი, ზოგჯერ ტკივილი. იგი ხშირად ვითარდება ნერვული და ენდოკრინული სისტემის მოშლით, ქრონიკული ინფექციების (ტონზილიტი, ჰაიმორიტი და სხვ.) არსებობით ორგანიზმში.

– კომბოსტოს ფოთოლს იდებენ დაზიანებულ ადგილზე და ბინტით იხვევენ. 2-3 დღის შემდეგ იხსნიან და ახალ ფოთოლს იდებენ. იმეორებენ რამდენჯერმე.

– რძეში ხარშავენ კომბოსტოს ფოთოლს, ურევენ ქატოში და იდებენ დაზიანებულ ადგილზე. იმაგრებენ სახვევით.

– კომბოსტოს ატარებენ ხორცსაკეპში და ურევენ კვერცხის ცილას. იდებენ დაზიანებულ ადგილზე საფენით.

– კარტოფილს ჭრიან სიბრტყეზე და იდებენ დაზიანებულ ადგილზე.

– კარტოფილს რეცხავენ, ფცქვნიან, ხეხავენ წვრილ სახეხზე და წურავენ. წვენში ასველებენ 1 სმ სისქეზე დაკეცილ მარლას და იდებენ ეგზემიან ადგილზე. 2 საათის შემდეგ ცვლიან ახლით.

– კარტოფილს ხეხავენ, უმატებენ თაფლს (1/2 ჭიქა ფაფაზე 1 ჩაის კოვზი თაფლი) და ურევენ. ამ ნარევს უსვამენ მარლის სქელ ფენაზე და ადებენ დაზიანებულ ადგილზე. საფენს ცვლიან ყოველ 2 საათში ერთხელ დღის განმავლობაში. ღამე იდებენ დინდგელის მალამოს, დღისით ისევ კარტოფილსა და თაფლის ნარევს.

***

ფსორიაზი კანის ქრონიკული დაავადებაა, რომლის გამომწვევი მიზეზია ნერვული და ენდოკრინული სისტემის მოშლა, დარღვევები ნივთიერებათა ცვლაში, ორგანიზმში არსებული ქრონიკული ინფექციური კერები (ტონზილიტი, ჰაიმორიტი).



ამ დაავადებისადმი მიდრეკილება შეიძლება შთამომავლობითაც გადაეცეს.

დაავადება იწყება კანზე მოვარდისფერო ან მოწითალო კვანძების გაჩენით, რომლებიც იფარება მოვერცხლისფერო-თეთრი ქერცლებით. გამონაყარი თანდათან ფართოვდება, ერთიანდება და იქმნება მსხვილი კერა.

ფსორიაზით დაავადებულ ადამიანს ურჩევენ რძისა და მცენარეული საკვების მიღებას, უზღუდავენ ცხოველურ ცხიმებსა და ნახშირწყლებს. სასურველია მზის აბაზანების მიღება (მაგრამ არა – დაავადების გამწვევების პერიოდში), ზღვაში ბანაობა, საოჯახო პირობებში კი თბილი საპნის აბაზანები.

ხალხური მედიცინა გთავაზობთ შემდეგს ფსორიაზთან საბრძოლველად.

შინაგანად მისაღებად:

– ნივრის ცოცხალი წვენისა და ფაფის მიღება (თაფლით) ფსორიაზის სამკურნალოდ უძველესი და ეფექტური საშუალებაა.

– 20 გრამ დაფნის მშრალ ფოთლებს ასხამენ 2 ჭიქა მდუღარეს, ადუღებენ 10 წუთს, წურავენ. სვამენ დღის განმავლობაში 3 მიღებაზე. მკურნალობის კურსი 5-7 დღეა.

– ისეთი დაავადების სამკურნალოდ, როგორიცაა ეგზემა და ფსორიაზი, გამოიყენება ქაცვის ზეთი. იღებენ დღეში 2 მილილიტრს.

– იღებენ 60 გრამ ჭინჭრის ყვავილს და ფოთოლს, ასხამენ 1 ლიტრ მდუღარეს. იღებენ დღეში 3-ჯერ 100 მილილიტრს. ეს საშუალება წმენდს სისხლს და დაავადება ქრება.

– 10 გრამ ორკბილას ასხამენ 1 ჩაის ჭიქა მდუღარეს. დგამენ 30 წუთით მდუღარე წყლის აბაზანაში. აცივებენ 10 წუთით, წურავენ, უმატებენ მდუღარე წყალს 200 მლ-მდე შესავსებად. იღებენ 2-3 სუფრის კოვზს დღეში 3-ჯერ.

გარეგანი საშუალებები ფსორიაზის სამკურნალოდ:

– ფსორიაზის სამკურნალოდ იყენებენ მოცვის ნაყოფის ნახარშის საფენებს. დაზიანებულ ადგილზე იფენენ დილა-საღამოს.

– ქრისტესისხლას წითელი წვენის წასმა ფსორიაზით დაზიანებულ კერებში აშორებს ქერცლებს და კურნავს დაავადებას.

– ხარშავენ ფარსმანდუკს, ასხამენ აბაზანის თბილ წყალში და იკეთებენ აბაზანებს.

– არყის ხის კვირტების 10-30%-იანი მალამო საუკეთესო საშუალებაა ეგზემის, ფსორიაზის სამკურნალოდ.

– ორკბილა (ბალახი) 15 გრამი, კოთხუჯი (ფესვები) 15 გრამი, დიდგულას ყვავილები 10 გრამი, სიმინდის ულვაში 15 გრამი, კრაზანა 15 გრამი, წითელი მოცვის ფოთლები – 10 გრამი, ქრისტესისხლა 5 გრამი, მინდვრის შვიტა 10 გრამი, კულმუხო (ფესვები) – 10 გრამი.

ყველა შემავალი კომპონენტი დაჭერით წვრილად. 1 სუფრის კოვზ ბალახეულზე აიღეთ 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ და შეფუთეთ. 2 საათის შემდეგ ნაყენი გადაწურეთ. მიიღეთ დილით და საღამოს 1/2 სუფრის კოვზი საჭმლის შემდეგ.

– მიიღეთ წიწვოვანი აბაზანები ორი თვის განმავლობაში, ყოველდღიურად, 20 წუთით.

წიწვოვანი ექსტრაქტი ასე დაამზადეთ – 100 გრამი ნაძვის წიწვები ჩაყარეთ 1 ლიტრ წყალში, ადუღეთ 10 წუთი, დააყენეთ 3 საათი და მიღებული ნაყენი ჩაასხით სავსე აბაზანაში.

## კამა სასარგებლოა სტაფილოს წვენთან ერთად



კამა სამკურნალო მცენარეა. ეთერზეთებით მდიდარია როგორც თვით მცენარე, ისე მისი თესლიც. კამა საუკეთესო მადის აღმძვრელია, ხელს უწყობს საკვების სწრაფად და სრულფასოვნად მონელებას, მდიდარია უჯრედისებით და შესანიშნავად წმენდს საჭმლის მონელების ტრაქტს.

სურნელოვანი კამა შეიცავს დიდი რაოდენობით C, B1, B2, PP, P ვიტამინებს, კაროტინს, კალიუმს, კალციუმს, ფოსფორს, რკინასა და სხვა მიკროელემენტებს, ამიტომ იყენებენ როგორც სამკურნალოდ, ასევე პროფილაქტიკისათვის. აქვს ბაქტერიციდული (ეხმარება ორგანიზმს სასარგებლო მიკროფლორის გამრავლებაში), სპაზმოლიზური (ხსნის გლუვი კუნთების სპაზმებს), სისხლძარღვთა გამაფართოებელი (აადვილებს სისხლის მიმოქცევას ორგანიზმში,) ჰიპოტენზიური (ასტიმულირებს შარდის გამოყოფას), ანთების საწინააღმდეგო (აქრობს ყოველგვარ ანთებას), კარდიოტონური (აქვს გულის მატონიზებელი ეფექტი), სედაციური (აუმჯობესებს ძილს, ამშვიდებს ნერვებს), ბრონქოლიზური (ზრდის ბრონქიოლებისა და ალვეოლების ზომას, რითაც ხელს უწყობს სუნთქვის რეგულირებას), ამოსახველებელი (ათხელებს ნახველს და გამოდევნის), ნაღველმდენი (ხელს უწყობს მის გამოყოფას), საფაღარათო (აუმჯობესებს პერისტალტიკას, შველის შეკრულობას), აჩქარებს წყლულების, ოპერაციის შემდგომი ჭრილობებისა და ძვლოვანი ქსოვილის შეხორცებას.

კამა სასარგებლოა სტაფილოს წვენთან ერთად – თვალებისთვის, ხსნის გულის ტკივილს კორონალური უკმარისობის დროს, 1ჩ/კ გამხმარი კამა – კრუნჩხვასა და ჭვალს, მუცლის ძლიერ ტკივილს, ამავე რაოდენობის ხმელი კამის დალეჭვა (არ გადაყლაპოთ) ამშვიდებს ძლიერ ხველებასა და მოხრჩობის შეგრძნებას, ლაქტოგენური თვისებების (რძის წარმოქმნა) გამო რეკომენდებულია მეძუძური დედებისთვის. კამის წყალს ასმევენ პატარებს ჭვალის მოსახსნელად. კამის თესლის ეთერზეთები ხელს უწყობს საჭმლის მომნელებელი წვენის გამოყოფას და ხსნის შებერილობას.

გთავაზობთ ხალხური მედიცინის რეცეპტებს:

უძილობის დროს: 1. 1ს/კ გამხმარი კამის თესლს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააცივეთ, გაწურეთ, დაამატეთ 1ს/კ თაფლი და დალიეთ.

ზედა სასუნთქი გზების დაავადებისას ეს ნაყენი მიიღეთ დღეში 3-4-ჯერ 2ს/კ, მეტეორიზმის დროს კი 1-2 ჭიქა დღეში 2-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

2. 50 გ კამის თესლს დაასხით 0,5ლ პორტვეინი, 15-20 წუთის განმავლობაში ადუღეთ დაბალ ცეცხლზე, შეფუთეთ და 1 საათი გააჩერეთ. შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ 50 გ ძილის წინ.

3. თავის ტკივილის დროს 1ს/კ ხმელ კამას დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 15 წუთი, გაწურეთ და მიიღეთ 1ს/კ ცივი ნაყენი დღეში 5-6-ჯერ, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

4. ჰიპერტონიული დაავადებების დროს მიიღეთ ჭამამდე 15-20 წუთით ადრე კამის 1ჩ/კ გამხმარი თესლი, დააყოლეთ 1/4 ჭიქა თბილი წყალი და კამის ნახარში (კამის ნახარში ასე მოამზადეთ: 3ს/კ დანაყილ კამას დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი და 15 წუთი ადუღეთ, გააცივეთ, გადაწურეთ და მდუღარე წყლით თავდაპირველ ოდენობამდე შეავსეთ).

## რა იწვევს ნიკრისის ქარს



ნიკრისის ქარი (პოდაგრა) სახსრების დაავადებაა. მისთვის დამახასიათებელია უეცარი შეტევა, ძლიერი ტკივილი (უმეტესად ფეხის ცერისა). ქრონიკული დაავადება ხელს უწყობს სახსრების დეფორმირებას. ნიკრისის ქარს იწვევს: ნივთიერებათა ცვლა, შარდმჟავას გამხსნელი ფერმენტების არარსებობა, ხოლო გაუხსნელი შარდმჟავას მარილები მიკროკრისტალებად ლაგდება სახსრებსა და თირკმლებში. შარდმჟავას ცვლა შეიძლება დაირღვეს გასუქების, დიაბეტისა და თირკმლების დაავადების დროს. უპირველეს ყოვლისა, მკურნალობა უნდა დაიწყოთ შარდმჟავას მარილების ნაერთების შემცირებით – რევმატოლოგების მიერ სპეციალურად შერჩეული თერაპია ხელს უშლის მათ წარმოქმნას და გამოდევნის ორგანიზმიდან. ნიკრისის ქარის დროს რეკომენდებულია ანთებსაწინააღმდეგო, შარდმდენი და ტკივილგამაყუჩებელი ბალახების ნახარში.

სასარგებლოა გვირილის (აფთიაქის), ცაცხვის, შავი დიდგულას და კრაზანას ნაერთის ნახარში. პირველ რიგში, უნდა შეამციროთ ნუკლეინის მჟავას შემცველი პროდუქტების მიღება. ასეთებია: სუბპროდუქტები (ღვიძლი, თირკმელი, გული), ბულიონი, შებოლილი ხორცი, პომიდორი, ყვავილოვანი კომბოსტო, ბადრიჯანი, კვერცხი, ყავა, შოკოლადი, ყურძენი, მარილიანი, ცხარე და მწარე საკვები. უპირატესობა მიანიჭეთ რძის პროდუქტს, პურს, ყველს, კარტოფილს, ბურღულეულს.

## გავიძლიეროთ იმუნიტეტი

ზამთარში, ამინდის ცვლილებასთან ერთად, ადამიანის იმუნიტეტი ქვეითდება. ექიმები გვირჩევენ, იმუნიტეტის გასაძლიერებლად „სასწაულმოქმედი“ წამლების მაგიერ ვიხმაროთ ძველი, გამოცდილი ხალხური საშუალებები, რომლებიც არაერთ თაობას დაეხმარა:

1. ყოველდღე ან დღეგამოშვებით შეჭამეთ თითო კბილი ნიორი.

2. 2-3 დანაყულ ნივრის კბილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 40 წუთი. შემდეგ წყალში გახსნილი 4-5 წვეთი ნაყენი გამოივლეთ ყელში.

3. ცირცელი. 2 ს/კ გამხმარ ცირცელის ნაყოფს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 20 წუთი, გაწურეთ და მიიღეთ ნახევარ-ნახევარი ჩ/ჭ 3-3-ჯერ დღეში. ცირცელის სამკურნალო თვისებებს აუმჯობესებს თაფლი.



4. წითელი ფერის საკვები. მაგალითად, ესპანელები იმუნიტეტის გასაძლიერებლად მიირთმევენ წითელ ხორცს, ღვიძლს, თირკმლებს და ცხიმიან წითელ თევზს. გარნირად იყენებენ ზეითუნის ზეთით შენელებულ სტაფილოს, წითელ წიწაკას, პომიდორს და სვამენ ერთ ჭიქა წითელ ღვინოს.

5. ასკილი. 8 ს/კ გამხმარ ასკილის ნაყოფს დაასხით 4 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დაამატეთ 4 ს/კ შაქარი და 10 წუთი ადუღეთ. გააჩერეთ 4 საათი, გაწურეთ, ჩაასხით მინის ბოთლებში. სვით მთელი დღის განმავლობაში.

6. ხახვი. 250 გ წვრილად დაჭრილ ხახვს დაამატეთ 200 გ შაქარი, დაასხით 0,5 ლ წყალი და 0,5 საათი ადუღეთ ნელ ცეცხლზე. გაცივების შემდეგ დაამატეთ 2 ს/კ თაფლი, გაწურეთ და ჩაასხით მინის ბოთლებში. სვით თითო ს/კ ნაყენი 3-5-ჯერ დღეში (საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა გაცივების დროს).

7. ბოლოკი და თაფლი. შეურიეთ ერთმანეთს ნახევარ-ნახევარი ჩ/ჭ ბოლოკისა და სტაფილოს წვენი, 1 ს/კ თაფლი და 1 ს/კ ლიმონის (ან შტოშის) წვენი. სვით თითო ს/კ ეპიდემიის დროს დილა-საღამოს.

# ირჟი დუდეკი ყველასთვის დაუვიწყარ ფინალს იხსენებს

ირჟი დუდეკმა პირველად გაანდო საზოგადოებას ინფორმაცია იმის შესახებ, რომელსაც ის და რაფა იყენებდნენ, რათა გამოეცნოთ კუთხე, თუ რომელი მიმართულებით გაგზავნიდნენ ბურთს მილანის ფეხბურთელები.

დუდეკისთვის ეს იყო გადამწყვეტი მომენტი „ლივერპულში“ თამაშისას. პენალტები, რომელთა წყალობითაც მერსისაიდულმა გუნდმა მეხუთედ დაისაკუთრა ჩემპიონთა ლიგის ტიტული. ფეხბურთის გულშემატკივრებს ემახსოვრებათ დრამატული ფინალი ლივერპულსა და მილანს შორის, რომლის პირველი ტაიმი იტალიელებმა 3:0 მოიგეს, მაგრამ მერსისაიდელებმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაათანაბრეს, ხოლო პენალტების სერიაში მოიგეს კიდეც.




**ირჟი დუდეკი:**

– დამატებითი დროის მერე მოედანზე სრული ქაოსი იყო. კომბინაცია დაღლილობის, დაძაბულობის და ეჭვი იმისა, რომ ჩვენ ეს თამაში როგორლაც შემოვაბრუნეთ, ამ მომენტს ძალიან დაძაბულს ხდიდა. რამდენიმე ფეხბურთელი თუ მწვრთნელი მოვიდა ჩემთან და რაღაც სიტყვები მითხრეს – ყოჩაღ ირჟი, ახლა პენალტები მოიგერიე. ეს შენი თამაშია, მოიგე ჩვენთვის!

ჯეიმი კარაგერი ყველაზე აღფრთოვანებული იყო. მან თავისკენ მიმიზიდა, თვალებში ჩამხედა და დამიყვირა – ირჟი, შეეცადე, რამე გააკეთო, რომ „მოსვა“ ისინი. გახსოვს გრობელაარი? იყავი მისნაირი! ის ყველას სძულდა! ამოძრავე ფეხები. იმოძრავე ხაზის გასწვრივ, დააბნიე ისინი!

– კარგი, კარა, კარგი, კარგი! მაგრამ ახლა დამანებე თავი, მაცადე პენალტებისთვის მოვემზადო! – ვუთხარი მე.

– გახსოვდეს! გააკეთე რამე. შენ აუცილებლად უნდა გააკეთო რამე! გახსოვდეს გრობელაარი! – დაჟინებით მიმეორებდა კარა.

კარასთვის კარგის მეტი არაფერი მითქვამს, რადგან ძალიან მინდოდა ხოსე ოჩოტორენასთან (მეკარეების მწვრთნელი ბენიტესის დროს) ლაპარაკი, მაგრამ მისი სიტყვები დავიმახსოვრე.

ფეიენოორდში თამაშისას მქონდა რვეული, სადაც ვწერდი ინფორმაციას ფეხბურთელების შესახებ, ვინ როგორ ურტყამდა პენალტს. წავიკითხე, რომ მსგავს შენიშვნებს ცნობილი ჰოლანდიელი მეკარე ჰანს ვან ბრიოკელენი იყენებდა, რომელიც პსვ-ში თამაშობდა სწორედ მაშინ, როდესაც პსვ-მ 11-მეტრიანების სერიის წყალობით 1988 წლის ფინალი მოუგო ბენფიკას და ევროპის ჩემპიონთა (ახლანდელი ლიგა) თასის მფლობელი გახდა. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე მიმებაძა მისთვის და შენიშვნების წერა დავიწყე.

ჩემი რვეული შეიცავდა ინფორმაციას სხვადასხვა ფეხბურთელის შესახებ: როგორ პენალტს ურტყამდა, რომელ ფეხს ხმარობდა, რომელ მხარეს ირჩევდა დასარტყმელად. ჰოლანდიაში რვეულს ვიყენებდი, ლივერპულში კი ეს არ დამჭირვებია.

ბენიტესი ინფორმაციას დიდ ყურადღებას აქცევდა, ამიტომ ფინალის წინ მილანის ფეხბურთელების მთელი დოსიე გასახდელ ოთახში დაფაზე იყო გამოკრული. ასევე იქ ჩემთვის იყო ვიდეოები, რათა მეყურებინა თუ როგორ ურტყამდნენ ისინი პენალტებს და ჯარიმებს. 11-მეტრიანების აღებაზე რაფა მთლიანი სეზონის განმავლობაში მუშაობდა ჩემთან.

როგორ აღწერ პენალტს? მაღალი, დაბალი, შუა? შენ ამას სხვანაირად უნდა მიუდგე. მან მირჩია, რომ მე დამეყო კარი 6 ნაწილად. ზედა მარჯვენა კუთხე პირველი ოთხკუთხედი იყო, მის გვერდით კი მეორე და მესამე ოთხკუთხედები. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ოთკუთხედები კი ქვედა მარცხენა კუთხიდან იწყებოდა. ამის მერე მე ვუყურებდი მოწინააღმდეგის პენალტებს და ვსწავლობდი თუ რომელ ოთხკუთხედში ურტყამდნენ ან დაარტყამდნენ ისინი.

ამის ასათვისებლად 4 თვე დამჭირდა. რაფა სულ მამოწმებდა – სად ურტყამს ლამპარდი? რომელ ოთხკუთხედში? მე ვპასუხობდი – 6. ჩვენ გარდა, ვერავინ ხვდებოდა, თუ რაზე ვლაპარაკობდით. ჩვენ საიდუმლო კოდი გვქონდა.

სანამ პენალტების სერია დაიწყებოდა, ოჩომ სია მოიტანა, სადაც მილანის ფეხბურთელების შესახებ მთლიანი ინფორმაცია ეწერა. რა თქმა უნდა, ჩვენს კოდზე, ფეხბურთელების სახელების გვერდზე ნომრები ეწერა, თუ რა მიმართულებით შეიძლება დაერტყათ მათ. სია ძალიან გრძელი იყო, თითქოს ის ტუალეტის ქაღალდის სიგრძისა იყო!

– მე ვერ შევძლებ ამის დამახსოვრებას! – ვუთხარი ოჩოს, – შენ უნდა დამეხმარო.

ვეცადე დამერწმუნებინა, რომ დამდგარიყო კარის უკან და ინსტრუქციები მოეცა ჩემთვის. მაგრამ მსაჯი ამაზე არ დაგვთანხმდებოდა. ამიტომ მეორე გეგმა მოვიფიქრე – ყოველი პენალტის წინ, შენსკენ გამოვიხედავ, ადექი და თუ ერთ ხელს აწევ, მაშინ მე მარცხნივ წავალ, თუ ორს – მარჯვნივ. შენ მხოლოდ ამის გაკეთება შეგიძლია ამ მანძილიდან, მაგრამ ეს მე დამეხმარება.

არ ვარ დარწმუნებული, ვინმემ დაინახა თუ არა ეს, მაგრამ სკოტ კარსონი იყო ის, ვინც ხელს სწევდა და მანიშნებდა, სად გადავმხტარიყავი. როდესაც მილანის ფეხბურთელი დასარტყმელად მოდიოდა,'ოჩო თავის რვეულში ჩაიხედავდა და სკოტს ეუბნებოდა, თუ რომელი ხელი აეწია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ოჩოსთვის ადვილი საქმე. ზოგიერთი ფეხბურთელი სხვადასხვანაირად ასრულებდა პენალტს. ყოველი დარტყმისას ვხედავდი შიშს მის სახეზე, როცა გადაწყვეტილებას იღებდა, თუ რა უნდა ენიშნებინა ჩემთვის.

ამან გამახსენა ტრამპლინიდან ხტომის მწვრთნელი, როცა მან უნდა დააქნიოს დროშა და ანიშნოს მოთხილამურეს, როდის უნდა დაიწყოს თავისი ხტომა. სანამ დროშას დააქნევს, ის ელოდება ქარის იდეალურ მდგომარეობას. ეს ნერვების თამაშია, მან ზუსტად უნდა გათვალოს დრო და ქარის მიმართულება. მოთხილამურე ენდობა მწვრთნელს და იმედებს მასზე ამყარებს, სწორედ ეს გავაკეთე მეც. სკოტის ხელები ჩემთვის დროშა იყო.

ჩვენ ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც შესვენებაზე გასახდელში სამი გაშვებული ბურთით გავემართეთ. ხოლო გადამწყვეტი პენალტი მე მოვიგერიე. ამაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო!

სანამ ჩვენ თასის გადმოცემას ველოდებოდით, რაფა ჩემთან მოვიდა და ემოციების გარეშე მკითხა – მითხარი ირჟი, რატომ გადახტი საწინააღმდეგო მხარეს, ჩვენ ხომ მეორე მხარეზე მიგითითეთ?

ის მართალი იყო. მგონი, სამჯერ გადავხტი საწინააღმდეგო მხარეს. რაფასგან განსხვავებით, იმ მომენტში მე ამაზე არც კი ვფიქრობდი, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ საწინააღმდეგო მხარეს გადავხტი!

# ახალგაზრდულმა ნაკრებმა გვიან გაიღვიძა



**ესტონეთი-საქართველო 0:1**
**ტალინი. ლე კოკ არენა**
**0:1 კაჭარავა (39)**

***ესტონეთი:*** იგონენი, ოიამაა, ავილოვი, მაგი, პაიუ (აინსალუ 69), ლივაკი, კაიტი, კირსი, მილერი (კაუბერი 83), როოსნუოპი (სინიავსკი 81), კუუსკი.

***საქართველო:*** კუპატაძე, ჩაბრაძე, უბილავა, ტაბიძე, ცინცაძე, გვილია, არაბული (ლობჯანიძე 89), კაჭარავა (ზივზივაძე 72), კიტეიშვილი, ცნობილაძე, ხარაიშვილი (გოროზია 66).

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თამაში სასიამოვნო საყურებელი იყო. რაც მთავარია, გუნდი გააზრებულად მოქმედებდა და, რომ არა სტარტზე დაკარგული უაზრო ქულები, ახლა შეიძლება უკეთესი მდგომარეობა ჰქონოდათ. მართალია, ესტონელებთან თამაში ამ ყველაფრის მტკიცების საშუალებას არ მოგვცემს, რადგან ბალტიისპირელები ანგარიშგასაწევ ძალად არ ითვლებიან, მაგრამ ჩვენების პროგრესიც ნათლად ჩანდა.

პირველი ტაიმი საერთოდ ქართველების იყო, ბურთი მუდმივად გია გეგუჩაძის გუნდს ჰქონდა და მეტოქეს ჩვენების ნახევარზე გადმოსვლა უჭირდა. იყო რამდენიმე შანსი, მაგრამ მხოლოდ ერთი გავიდა: 39-ე წუთზე დავით უბილავამ მარცხნიდან დაბალი ბურთი გაუშვა საჯარიმოში, სადაც ნიკა კაჭარავა ვარდნაში დაუხვდა – 0:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში კი გადავრჩით – კირსმა ცენტრიდან ირბინა და რომ არა მეკარე ლაზარე კუპატაძეს გაბედული თამაში, გოლიც გავიდოდა.

ეს იყო და კიდევ რამდენიმე ნახევრადმომენტი, დანარჩენ დროს მუდმივად ქართველები აკონტროლებდნენ გოლის გატანაც არაერთხელ შეეძლოთ: მათე ცინცაძემ ოდნავ ააცილა საჯარიმო დარტყმით. ოთარ კიტეიშვილის დარტყმული ბურთი მცველებმა გამოიტანეს, ბუდუ ზივზივაძემ კარგი მომენტი გაანიავა...

საქართველოს ნაკრები ჯგუფში ბოლო მატჩს 6 სექტემბერს ჩაატარებს და ზესტაფონში ხორვატიას უმასპინძლებს. ერთია, ჯგუფში ჯგუფში მეოთხე ადგილს ვერ ავცდებით.

ჩვენივე ჯგუფში ხორვატებისა და შვედების მატჩი 1:1 დასრულდა, ხოლო ესპანელებმა 6:0 გაანადგურეს სან მარინო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 8 | 6 | 1 | 1 | 20:5 | 19 |
| 2.შვედეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 16:4 | 17 |
| 3.ესპანეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 22:8 | 16 |
| 4.საქართველო | 9 | 4 | 0 | 5 | 15:15 | 12 |
| 5.ესტონეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 3:18 | 4 |
| 6.სან მარინო | 9 | 0 | 1 | 8 | 1:27 | 1 |

# ჩემპიონები, რომლებიც პროგნოზებს არ ცნობენ

გასულ სეზონში ლესტერის ჩემპიონობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ფეხბურთში პროგნოზირება ყოველთვის არ ხდება. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც რომელიმე გუნდს ყველაფერი თავდაყირა დაუყენებია. იყო შემთხვევები, როცა ამ ალოგიკურობას მივუყვანივართ იქამდე, რომ სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატში ჩემპიონი გამხდარა ისეთი გუნდი, რომლისგანაც ამას არავინ ელოდა.



გავყვეთ ისტორიასაც და ლესტერამდე გავიხსენოთ 5 ისეთი მოულოდნელი გუნდი, რომლისგანაც ჩემპიონობას არავინ ელოდა.

5. ბურსასფორი (2009-10)

თურქეთის სუპერლიგის არსებობის მანძილზე ჩემპიონობას თითქმის ყოველთვის 3 სტამბოლური გრანდი – გალათასარაი, ფენერბაჰჩე და ბეშიქთაში ერთმანეთში იყოფდა. მათ გარდა, 6-ჯერ ტრაბზონსპორმაც იზეიმა პირველობა, მაგრამ 2009/10 წლების სეზონში ბურსასფორმა ნამდვილი ფურორი მოახდინა.

1984 წლის შემდეგ, ბურსა გახდა პირველი არასტამბოლური გუნდი, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა. თან, საინტერესო ისაა, რომ ჩემპიონობამდე მათ სამეულშიც კი არასდროს დაუკავებია ადგილი.

4. ბოავიშტა (2000-01)

2000-01 წლების სეზონში პორტუგალიის ჩემპიონად ყველასთვის მოულოდნელად ბოავიშტა იქცა. ამ მიღწევით გახდა პირველი გუნდი 1945 წლის შემდეგ, რომელმაც პორტუს, ბენფიკასა და სპორტინგის ჰეგემონია დაამხო.

გუნდში გამორჩეული ვარსკვლავები არ თამაშობდნენ, თუმცა მკაცრმა დისციპლინამ და ყოველ მატჩზე განსაკუთრებულმა ფსიქოლოგიურმა და ფიზიკურმა მზადყოფნამ ბოა ამ შედეგამდე მიიყვანა.

3. ატლეტიკო (2013-14)

2013-14 წლების სეზონში მადრიდის ატლეტიკომ პრიმერაში ბარსა-რეალის 9-წლიან ჰეგემონიას დაუსვა წერტილი.

„როხი ბლანკომ“ ისტორიაში მე-10, ხოლო 1996 წლის შემდეგ პირველი ოქროს მედლები მოიპოვა. 37-ე ტურში ბარსელონასთან „კამპ ნოუზე“ ნათამაშები 1:1-ის შემდეგ ატლეტიკო ყველასთვის მიუწვდომელი გახდა.

ტრიუმფის მთავარი შემოქმედი არგენტინელი სპეციალისტი დიეგო სიმეონე გახლდათ, რომელიც მწირი რესურსებით ახლაც ახერხებს საფეხბურთო სამყაროს გაოცებას და აღფრთოვანებაში მოყვანას.

2. მონპელიე (2011-12)

2011-12 წლების სეზონში მონპელიემ საფეხბურთო სამყარო შოკში ჩააგდო და საფრანგეთის ლიგა 1-ის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და თანაც, ვარსკვლავური პსჟ-ს დამარცხებაც მოახერხა. არადა, საფეხბურთო ექსპერტები მონპელიეს გასავარდნ ზონაში მებრძოლთა სიაში მოიაზრებდნენ.

მონპელიემ ჩემპიონობა სერიოზული და დისციპლინირებული მომზადების, ლიდერების სწრაფი პროგრესისა და მონდომების ხარჯზე მოიპოვა. გუნდმა ბოლო ტურში სტუმრად ოსერი დაამარცხა და ტიტულიც გაიფორმა.

ტრიუმფატორთა თავკაცი რენე ჟირარი ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელად, ხოლო შემტევი ნახევარმცველი ენეს ბალანდა საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დასახელდა. ფორვარდი ოლივიე ჟირუ კი 21 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მომდევნო სეზონიდან კი იგი უკვე არსენალში გადავიდა და დღემდე „მეთოფეთა“ ღირსებას იცავს.

1. კაიზერსლაუტერნი (1997-98)

მეორე ბუნდესლიგიდან დაბრუნების შემდეგ პირველივე სეზონში კაიზერსლაუტერნმა ყველა გააოცა და ბუნდესლიგაში სეზონი პირველი ადგილით დაასრულა.

ოტო რეჰაგელის გუნდმა ჩემპიონობისკენ სვლა პირველივე ტურში დაიწყო, როცა ყველასათვის მოულოდნელად მრისხანე ბაიერნი სტუმრად 1:0 დაამარცხა.

მთელი სეზონის განმავლობაში კაიზერი პოზიციებს არ თმობდა და ამავე დროს, სწრაფ და შემტევ ფეხბურთს აჩვენებდა, ვერცხლის სინი კი ჩემპიონატის დასრულებამდე 1 ტურით ადრე გაინაღდა.

ტრიუმფის შემოქმედნი მიროსლავ კადლეცი, ჩირია კასფურცი, ახალგაზრდა ტალანტი მიხაელ ბალაკი და გამტანი ფორვარდი ოლაფ მარშალი იყვნენ. ამ უკანასკნელმა სეზონში 24 შეხვედრიდან 21 გოლის გატანა მოახერხა, რეჰაგელის გუნდმა კი 34 დაპირისპირებიდან მხოლოდ 4-ში წააგო.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



## ორშაბათი 5 სექტემბერი

07.00 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. შეგვიძლია თუ არა" მარადიულად ცხოვრება 08.00 ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00 ზღაპარი."პრინცესა მუხუდოს მარცვალზე" 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.10 ტ/სერ. **"ფინ წარმატებისკენ"** 11.00 ტ/სერ. **"უცნობი მოახლეები"** 12.30 მხ/ფ **"ჩიტი მავთულზე"** 14.00 ტ/სერ. **"ადვოკატები"** 15.00 დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. გამოქვაბული" 19.00 ქართ. ტ/ფ. **"ქვევრი"** 19.30 საფეხბურთო მიმოხილვა 19.55 **ფეხბურთი.** მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი. **საქართველო - ავსტრია.** პირდაპირი 22.00 საფეხბურთო მიმოხილვა 22.20 მხ/ფ **"სინანული"** 00.30 მხ/ფ **"მოტყუებული"**

08.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" 09.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 10.00 მინი/სერ **"უკანასკნელი საზღვარი"** 12.00 ტ/სერ **"ევას სამი ვარდი"** 13.00 ტ/სერ **"ჩენტო ვეტრინე"** 14.00, 20.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" 18.00, 21.00 "არჩევნები 2016" 22.00, 01.00 ტ/სერ **"ზღვარს მიღმა"** 23.00 "მოამბე" (5 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

05.30 სერ. **"ბამბის ველი"** 06.30, 16.00 სერ. **"თანხმობა"** 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. **"ერთი სიყვარულის ამბავი"** 1 სერ. 11.20 სერ. **"სიყვარულის ჭაში"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"ფიცი"** 17.35, 19.03 სერ. **"პატარძალი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 1 სერ. 22.00 ღია ეთერი – თოქ შოუ 00.00 მხ/ფ **"ჩამშვები"** 02.30 მხ/ფ **"რა სურთ ქალებს"**

06.00 სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** 06.45 სერ. **"გაბრიელა"** 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. **"დედოფლის სევდა"** 15.55 სერ. **"ინდური საგა"** 18.45 სერ. **"ცხოვრების გზები"** 19.45, 20.05 სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** 22.00 არჩევანი - 2016. ქვრის უბანი 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.00 ან/ფ **"ვარსკვლავური ომები"** 09.00 სერ. **"მენტალისტი"** 10.00, 18.30 სერ. **"კარგი ცოლი"** 11.00 სერ. **"გრეის ანატომია"** 12.00 შეხვედრები რეგიონულ მედიასთან 13.30, 02.35 სერ. **"ძვლები"** 14.30 ცოლები და ქმრები 15.00 მხ/ფ **"ვარსკვლავური ომები"** ნაწ. III. 17.30 სერ. **"მსახიობი მამა"** 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 19.30 სერ. **"მენტალისტი"** 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 1 სერ. 23.30 სერ. **"ამერიკული საშინელებათა ისტორია"** 00.30 მხ/ფ **"300"**

06.15 ივერიის ეკლესია "საეკლესიო სეპარატიზმი სამცხეში" 06.35 პატრიარქი-ღირსი დედა მარიამ ეგვიპტელი 06.45 ქართული ალბომი "მეც უნდა ვიყო შენი პოეტი-ფრიდონ ხალვაშის ოჯახი" 07.20 ჩვენი საგანძური "ღვთისმშობლის ხატი "მსწრაფშესმენელი"" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"ცისფერი მთები"** 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 ერთი წვეთი 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ერთხელ ბავშვობაში "გივი შახნაზარი" 16.00 დ/ფ "ველური ბუნება" 17.00 სპექტაკლი **"მტრედის მოტანილი ბარათები"** 17.25 საყმაწვილო ენციკლოპედია 18.05 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"აბეზარა"** 20.40 ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 პატრიარქი-ეფრემი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა "ქვათახევის მამათა მონასტერი 22.25 საქართველოს სამართლის ისტორია 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "ესაია" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ქვიშანი დარჩებიან 00.25 "ტალანტები და თაყვანისმცემლები" "ელდარ შენგელაია" 01.00 მხ/ფ **"არსენას ლექსი"** 1 ნაწ.

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. **"ტატიანა"** 10.05, 0.00 სერ. **"მოლოდინის სია"** 11.05 სერ. **"ჩემი ერთადერთი ცოდვა"** 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.35 სერ. **"უკანასკნელი მაგიკიანი"** 13.00, 14.05, 1.00 სერ. **"გულს ვერ უბრძანებ"** 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. **"სიყვარულის იმპერია"** 16.05, 17.05, 2.30 სერ. **"კარმელიტა ბოშური ვნება"** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. **"ცხოვრება როგორიც არ ყოფილა"** 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.00 "ღამის კონტაქტი" 22.30 სერ. **"ესკობარი"**

## სამშაბათი 6 სექტემბერი

07.00 დოკ/სერ ცნობისმოყვარეობა. გამოქვაბული" 08.00 ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00 ზღაპარი."პრინცესა მუხუდოს მარცვალზე" 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.10 ტ/სერ. **"ფინ წარმატებისკენ"** 11.00 დ/ფ "მარი კიური" 12.30 მხ/ფ **"ჯონი ინგლიში"** 14.00 ტ/სერ. **"ადვოკატები"** 15.00 დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. სტოუნჰენჯი" 19.00 ტ/სერ. **"უცნობი მოახლეები"** 20.00 მოამბე+მოამბის სტუმარი 21.30 "ინტერვიუ სალომე ასათიანთან ერთად" 22.10 მხ/ფ **"აუტანელი სისასტიკე"** (კ.ზეტა-ჯონსი) 00.30 მხ/ფ **"ჯუნგლების ციებ-ცხელება"**

